პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б)
ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 19 ივლისი, 1946 წ. № 143 (7616). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ვაფასებდეთ ხალხის ნდობას. „პრავდის" მოწინავე (1-ლი გვერდი).
პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში (1-ლი გვერდი).
10.200 მეტრ სიმაღლეზე (1-ლი გვერდი).
ა. ფილიპოვი — ახალი სტალინური ხუთწლედი და საწარმოო ძალთა განლაგება (მე-2 გვერდი).
რ. აგლაძე — საქართველოს მეტალურგიის წარსული და მომავალი (მე-3 გვერდი).
პარტიული ცხოვრება — „შეხმატკბილებული" მუშაობა და ჩაშლილი საქმე (მე-3 გვერდი).
სამშობლო მოითხოვს მსუბუქი მრეწველობის მუშაკებისაგან მეტსა და უკეთესი ხარისხის საქონელს (მე-3 გვერდი).
ჩინეთის დემოკრატიული ლიგის პრე[illegible] (მე-4 გვერდი).
ბირნსის გამოსვლა რადიოთი (მე-4 გვერდი).
მღელვარება იტალიის მშრომელთა შორის (მე-4 გვერდი).

ვაფასებდეთ ხალხის ნდობას

საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს აქვს აპარატი, რომელიც თავის ხალხს ემსახურება ერთგულად და სიმართლით, რომელსაც სინდისი ამოქმედებს და არა შიში. ჩვენს ქვეყანაში, სადაც სახელმწიფოს ინტერესები და საერთო-სახალხო ინტერესები ერთია, სახელმწიფო აპარატის ყველა მუშაკი — დიდი თუ მცირე— ხალხის მსახურია, მისი ნდობით აღჭურვილი პირია. საბჭოთა სახელმწიფო აპარატის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ ჩვენი მეურნეობის მუშაკები. მათ მინდობილი აქვთ ქარხნებისა და ფაბრიკების, რკინიგზებისა და საბჭოთა მეურნეობების, შახტებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ხელმძღვანელობა. ეს—ხალხის მეტად დიდი ნდობაა. საბჭოთა წყობილების პირობებში დირექტორად, მმართველად, უფროსად ყოფნა, საბჭოთა მოსამსახურედ, სახელმწიფოს რწმუნებულად ყოფნა საპატიო საქმეა.

ამხანაგმა სტალინმა სთქვა, რომ ჩვენი საბჭოთა წყობილების დროს „სამეურნეო ხელმძღვანელებს ყველა საფუძველი აქვთ სარგებლობდნენ ხალხის ნდობითა და სიყვარულით, ვინაიდან ისინი მეურნეობას განაგებენ არა ერთი მუჭა კაპიტალისტების მოგებისათვის, არამედ მუშათა კლასის სარგებლობისათვის, მთელი ხალხის სარგებლობისათვის. ამიტომ სამეურნეო მუშაკის წოდება ჩვენს პირობებში მაღალი წოდებაა, ხოლო საბჭოთა პირობებში ხელმძღვანელად ყოფნა ნიშნავს მაღალი პატივისა და ნდობის დამსახურებას ხალხის თვალში". იმავე დროს ამხანაგი სტალინი ჩვენს სამეურნეო მუშაკებს, წარმოების მეთაურებს ასწავლიდა, რომ „უნდა ვიცოდეთ ხალხის ნდობის დაფასება".

საბჭოთა სახელმწიფო აპარატს, მათ შორის სამეურნეო აპარატსაც, რომელიც აღზრდილია ლენინ-სტალინის პარტიის მიერ და რომელსაც ყოველდღე წარმართავს პარტია, ფასდაუდებელი დამსახურება აქვს ხალხის წინაშე. ომის დროს ჩვენი სამეურნეო ხელმძღვანელები მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. მათი ორგანიზატორული ნიჭი, სიძნელეთა დაძლევის ბოლშევიკური უნარი, საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესთა ღრმად გაგება ხელს უწყობდა წითელი არმიის ზურგის განმტკიცებას, ფრონტის შეუფერხებლად მომარაგებას ყველაფრით, რაც საჭირო იყო მტერზე გამარჯვებისათვის.

მაგრამ საბჭოთა მოსამსახურეებს შორის, მეურნეობის მუშაკთა შორის ახლაც არიან ცალკეული მუშაკები, რომლებმაც ვერ ისწავლეს ხალხის ნდობის დაფასება. ესენი ის მუშაკები არიან, რომლებიც უგულებელჰყოფენ სახელმწიფო ინტერესებს, სახელმწიფოებრივ დისციპლინას, პარტიულ და საბჭოთა კანონს. ესენი ისეთი მუშაკები არიან, რომლებიც თავიანთ პირად ინტერესებს ყველაფერზე მაღლა აყენებენ და სახელმწიფოს მოტყუების, სახელმწიფოს ინტერესთა დარღვევის გზაზეც კი ექანებიან. ამ ადამიანებს შორის კომუნისტებიც არიან ხოლმე. მაგრამ ესენი არიან ის, უკაცრავად პასუხია, „კომუნისტები", რომლებიც, ამხანაგ სტალინის გამოთქმით, „კანონებს, სახელმწიფოს და სხვა ამგვარს ოჯახურ საქმედ" სთვლიან. ამხანაგმა სტალინმა დიდი ხანია მთელი სიმკვეთრით დაჰგმო ასეთი „კომუნისტების" სამარცხვინო საქციელი, რომლებსაც ზოგჯერ არაფერი უღირთ ღორის მსგავსად გადაალაჯონ სახელმწიფოს ბოსტანში და იქ წაჰგლიჯონ რამე ანდა გამოიჩინონ გულუხვობა სახელმწიფოს ხარჯზე.

ასეთი „კომუნისტები" და „სამეურნეო მუშაკები" ჩვენში ჯერ კიდევ რომ არ გადაშენებულან, ეს გვიჩვენა ცნობამ, რაც გასულ თვეს გამოაქვეყნა სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სამინისტრომ, რომელმაც აღმოაჩინა ცალკე თანამდებობის პირთა მიერ სახელმწიფოს ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ღირებულებათა მითვისება.

ყურადღებას იპყრობს ტულის ოლქში ტრესტ „შჩეკინუგოლის" № 19 შახტში გამოაშკარავებული ფაქტი. პრემიების უკანონოდ მიღების მიზნით, № 19 შახტის უფროსი კამჩატოვი და შახტის მთავარი ინჟინერი პეტრაშოვი ტრესტს სისტემატურად აწვდიდნენ ყალბ ცნობებს ქვანახშირის ამოღების შესახებ. ისინი სისტემატურად ზედმეტს მიიწერდნენ ხოლმე. როცა ქვანახშირის ამოღების გეგმა 98-99 პროცენტით სრულდებოდა, გამგე და მთავარი ინჟინერი ადგენდნენ ანგარიშს გეგმის გადაჭარბებით შესრულების შესახებ. ტრესტის ხელმძღვანელები კი არ ამოწმებდნენ შახტში არსებულ მდგომარეობას, არ ებრძოდნენ ანტისახელმწიფოებრივ პრაქტიკას. უფრო მეტიც, ისინი თვითონაც არაწესიერი ადამიანები აღმოჩნდნენ და უკანონოდ იღებდნენ პრემიებს.

მინაწერებს, სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა არა მარტო № 19 შახტში. ისინი აღმოჩენილ იქნა ქვანახშირის მრეწველობის მთელ რიგ შახტებში. მათ ვხვდებით მრეწველობის სხვა დარგების ზოგიერთ საწარმოშიც.

ამ ცოტა ხნის წინათ მინაწერები აღმოჩენილ იქნა გომელის სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ქარხანაში. ეს ქარხანა ვალდებული იყო შარშან 1.000 დამხარისხებელი დაემზადებინა. ქარხნის დირექტორმა იაკოვლევმა, რომელსაც სურდა ეპატაკა გეგმის შესრულების შესახებ, სამინისტროს ცნობა გაუგზავნა, რომ დამზადებულია ათასივე დამხარისხებელი. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ ქარხანამ შარშან გამოუშვა მხოლოდ 669 დამხარისხებელი. დანარჩენი 330 დამხარისხებელი კი დაუკომპლექტებელი და შეუღებავი იყო და არ შეიძლებოდა მათი გაგზავნა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მარტო 1946 წლის მეორე კვარტალში დაამთავრეს 296 დამხარისხებელი, რომლებიც შეიტანეს 1945 წელს დამზადებული პროდუქციის ანგარიშში. დირექტორმა იაკოვლევმა მოატყუა სახელმწიფო და ზარალი მიაყენა მას. სადაც კოლმეურნეები მანქანებს ელოდნენ, მათი იმედი ჰქონდათ, ეს მანქანები კი მხოლოდ დირექტორ იაკოვლევის მიერ შეთითხნილ ქაღალდზე არსებობდნენ.

საწარმოო გეგმების ფიქტიურად შესრულებისათვის უკანონო პრემიებს იღებდა საპროტეზო მრეწველობის სემაშკოს სახელობის მოსკოვის ქარხნის დირექტორი სემიონოვიც. ამ ქარხანაში საწყობის გამგე საამქროთა ზოგიერთი უფროსების ყალბი ბარათების მიხედვით შემოსავალში სწერდა პროდუქციას, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო დამზადებული. არარსებული ნაწარმი ანგარიშებში შეჰქონდათ, და ქარხნის დირექტორს თითქმის გმირად მოჰქონდა თავი.

მარტო სინიდისდაკარგულ ადამიანებს შეუძლიათ ჩაიდინონ ასეთი ანტისახელმწიფოებრივი საქმეები!

სამეურნეო აპარატის ცალკეული მუშაკები, რომლებსაც დაუკარგავთ სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა, აწარმოებენ საქონლის გაცვლის უკანონო ოპერაციებს, უკანონოდ იღებენ თავისთვის პრემიებს და ურიგებენ მათ სხვებს, არ თაკილობენ ქრთამის აღებას. ასეთი ფაქტები მხოლოდ იქ შეიძლება მოხდეს, სადაც არ არის ნამდვილი სამეურნეო და საფინანსო კონტროლი, სადაც თავმინებებულია აღრიცხვა, სადაც ცუდად მუშაობენ პარტიული ორგანიზაციები, სადაც დროზე არ ააშკარავებენ ნაკლოვანებებს, სადაც კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნაცვლად, ურთიერთ თავდებობაა შემოღებული.

პარტიულ მუშაკებს, რომლებმაც კარგად იციან საქმის მდგომარეობა საწარმოებში, რომლებიც სრულად ახორციელებენ ადმინისტრაციის საქმიანობაზე კონტროლის უფლებას, ყურს უგდებენ ქვემოდან მომავალ სიგნალებს, შეუძლიათ დროზე გამოააშკარაონ სახელმწიფოებრივი დისციპლინის დარღვევისა ან თუნდაც უკანონო საქციელის ფაქტები. მართალია, არიან ისეთი ცალკეული ხელმძღვანელებიც, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ ანგარიში არ გაუწიონ პარტიულ ორგანიზაციას, ეწინააღმდეგებიან კონტროლს, ჩქმალავენ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს. მაგრამ შეიძლება ასეთი თავგასული და გამედიდურებული ხელმძღვანელების მოდრეკა. თუ ზოგიერთი დირექტორი ივიწყებს, რომ იგი სახელმწიფოს მსახურია, არც თუ ისე ძნელია მისი ჯეროვან ჩარჩოში ჩაყენება.

ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო მუშაკები ყურადღებით არიან გარემოსილნი და ხალხის ნდობით სარგებლობენ. საუკეთესო სამეურნეო მუშაკები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში არიან. მოწინავე სამეურნეო მუშაკები, სულ ერთია — პარტიულნი თუ უპარტიონი, არაერთხელ ყოფილან დაჯილდოებულნი და ჯილდოვდებიან მთავრობის მაღალი ჯილდოებით.

ამავე დროს მუშაკები, რომლებიც ამცირებენ საბჭოთა სამეურნეო მუშაკების მაღალ წოდებას, ამდაბლებენ თავიანთ ღირსებას, ხალხის ნდობასაც ჰკარგავენ.

ანტისახელმწიფოებრივ გზაზე დამდგარი ადამიანები ჰკარგავენ კომუნისტების სახეს, საბჭოთა მოსამსახურეების სახეს.

ისინი იქნებ ცოტანიც არიან, მაგრამ ისინი სრულებით არ უნდა იყვნენ ჩვენს სახელმწიფო აპარატში.

„პრავდის" მოწინავე, 17/VII.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში ახალგაზრდობის მორიგ გაწვევაში პროფორგანიზაციათა მონაწილეობის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 10 ივლისიდან 10 აგვისტომდე ტარდება ახალგაზრდობის მორიგი გაწვევა საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში. წელს მიღებულ უნდა იქნას 425 ათასი მოსწავლე.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ წინადადებით მიმართა პროფკავშირთა ცენტრალურ, რესპუბლიკურ, საოლქო, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს ფართოდ განუმარტონ მუშებს, მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს, რომ ახალგაზრდობის გაწვევა სასწავლებლად წარმოადგენს მუშათა ორგანიზებული მომზადების უმნიშვნელოვანეს საშუალებას და ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის წარმატებით განვითარების პირობის აუცილებელ დაგვირგვინებას. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, რომლებიც სასწავლებლად შედიან, უნდა გააცნონ სახელმწიფო შრომითი რეზერვების სკოლებისა და სასწავლებლების სასწავლო-საწარმოო და ყოფაცხოვრებითი პირობები, საფაბრიკო-საქარხნო სკოლების, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლების აღზრდილ ახალგაზრდა მუშაკთა საწარმოო მიღწევები.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ დაავალა პროფკავშირულ ორგანიზაციებს გამოჰყონ წარმომადგენლები ახალგაზრდობის გამწვევ საქალაქო და რაიონულ კომისიებში წარსაგზავნად და აქტიური დახმარება გაუწიონ მათ. აუცილებელია კლუბებში, მუშათა და მოსამსახურეთა საერთო საცხოვრებლებსა და გამწვევ პუნქტებში მოეწყოს გაწვეული ახალგაზრდობის კულტურული მომსახურება, შემოწმდეს შრომითი რეზერვების სამინისტროს ორგანოებთან ერთად, რამდენად მზად არიან სკოლები და სასწავლებლები ახალ მოსწავლეთა მისაღებად, მიაღწიონ სასწავლო და საცხოვრებელ სადგომთა დროულ რემონტს, მათ მომარაგებას ინვენტარის საკმაო რაოდენობით, სათბობის საჭირო მარაგის შექმნას, სასადილოებისა და ყოფაცხოვრებითი მომსახურების სხვა დაწესებულებათა მოწესრიგებას.

რკინიგზებისა და სამდინარო ტრანსპორტის პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებს დაევალათ მოაწყონ საზოგადოებრივი კონტროლი იმაზე, რომ სახელმწიფო შრომითი რეზერვების სკოლებსა და სასწავლებლებში გაწვეული ახალგაზრდობის გადასაყვანად დროზე ჩამოაყენონ ვაგონები და გემები; სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტს დაევალა დახმარება გაუწიოს ახალგაზრდობის გამწვევ კომისიებს მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურების მოწყობაში; სამკერვალო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა მოაწყოს კონტროლი, რომ სამკერვალო ფაბრიკებმა და სახელოსნოებმა შეასრულონ შრომითი რეზერვების სამინისტროს შეკვეთები საფაბრიკო-საქარხნო სკოლების, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლების მოსწავლეთათვის ტანსაცმლის დამზადების შესახებ. (საქდესი).

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხ. ალექსანდრე ანდრიას-ძე ფედინი დაინიშნა რსფსრ მიწათმოქმედების მინისტრად.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხ. გიორგი ნიკოლოზის-ძე ბელეცკი დაინიშნა რსფსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად. (საქდესი).

გერმანიიდან დაბრუნდა სსრ კავშირის პროფკავშირთა დელეგაცია

გერმანიიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია.

გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონაში ერთი თვის ყოფნის დროს დელეგაცია გაეცნო გერმანიის ახლად შექმნილი თავისუფალი პროფკავშირების საქმიანობას, დაესწრო მეტალისტების, მასწავლებლების, ფოსტატელეგრაფის და სხვა მუშაკების ორგანიზაციათა კონფერენციებს.

დელეგაციამ მოიარა ბერლინი, დრეზდენი, ჰალე, ლაიფციგი, პოტსდამი, ვაიმარი, ერფურტი, ხემნიცი და სხვა ქალაქები, ეწვია საწარმოებს, ესაუბრა მუშებს.

დელეგაციის გამომგზავრების წინ ბერლინში შესდგა შეხვედრა პროფკავშირულ აქტივთან. შეიკრიბა საწარმოებისა და იმ თავისუფალ პროფკავშირთა ორგანიზაციების მრავალი წარმომადგენელი, რომლებიც სამ მილიონზე მეტ კაცს აერთიანებენ. (საქდესი).

პირველი განაღდენი პური სახელმწიფოს

საგარეჯო

მიმღებ პუნქტს ყოველდღიურად დიდი რაოდენობით აბარებენ მარცვლეულს. საგარეჯოს კოლმეურნეობა „ახალმა შრომამ" (თავმჯდომარე დ. დევიდარიანი) სახელმწიფოს პირველი განაღდენი 38,7 ტონა პური ჩააბარა, მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. ლაფაჩიშვილი) — 58,9 ტონა, ჟდანოვის სახელობისამ— 20, ხოლო კოლმეურნეობა „საბჭოთა საქართველომ" — 30 ტონა.

სიღნაღი

კოლმეურნეობებმა 16 ივლისისათვის სახელმწიფოს ჩააბარეს 11.425,2 ცენტნერი პური. მათ შორის სოფელ ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ—651 ცენტნერი, ბოდბისხევის კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა"—1.145, ნუკრიანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ — 290 ცენტნერი.

წითელწყარო

რაიონმა სახელმწიფოს ჩააბარა 792,5 ტონა მაღალხარისხოვანი მარცვლეული.

სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ უკვე შეასრულა მარცვლეულის ჩაბარების გეგმა.

წითელწყაროს კოლმეურნეობა „მტს-ის გზამ" სახელმწიფოს 240 ცენტნერი მარცვლეული ჩააბარა, ვოროშილოვის სახელობისამ—204, ბერიას სახელობისამ — 237 ცენტნერი.

10.200 მეტრ სიმაღლეზე

სუბსტრატოსტატ „სსრკ ვრ-79"-ის მაღალი სამეცნიერო-საკვლევი ფრენა

16 ივლისს დილით სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს ცენტრალური აეროლოგიური ობსერვატორიის მოედნიდან მაღალ სამეცნიერო-კვლევითი ფრენის მოსაწყობად გაემგზავრა სუბსტრატოსტატი „სსრკ ვრ-79" 2.700 კუბმეტრის მოცულობისა. მის ქიმზე იყვნენ პირველი კლასის პილოტები პ. პოლოსუხინი და ა. კრიკუნი.

...6 საათსა და 0,5 წუთზე სუბსტრატოსტატი „სსრკ ვრ-79" მოსწყდა აეროდრომის საზაფხულო მინდორს და ნელა წავიდა ცისაკენ. სუბსტრატოსტატსა და ცენტრალურ აეროლოგიურ ობსერვატორიას შორის დაუყოვნებლივ დამყარდა პირდაპირი რადიოსატელეფონო კავშირი. 6 საათსა და 50 წუთზე სუბსტრატოსტატმა მიაღწია 4.000 მეტრ სიმაღლეს. ამ სიმაღლეზე ეკიპაჟმა დაჰყო 30 წუთი და შემდეგ კვლავ განაგრძო მაღლა სვლა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. 8 ათას მეტრ სიმაღლეზე სუბსტრატოსტატი სრულიად მოპირდაპირე ჰაერის დინებაში მოექცა და მკვეთრად იბრუნა პირი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

8 საათსა და 50 წუთზე სუბსტრატოსტატის ეკიპაჟმა დაამთავრა საჭირო დაკვირვება 10.200 მეტრ სიმაღლეზე და დაიწყო ძირს დაშვება.

სუბსტრატოსტატის ფრენა დამთავრდა 9 საათსა და 30 წუთზე. იგი გაგრძელდა სულ 3 საათსა და 25 წუთს. მისმა ეკიპაჟმა მთლიანად შეასრულა სამეცნიერო დაკვირვებათა პროგრამა. სუბსტრატოსტატზე დადგმული ხელსაწყო სრულიად უვნებლად მიტანილია ცენტრალურ აეროლოგიურ ობსერვატორიაში.

• • •

სუბსტრატოსტატის „სსრკ ვრ-79"-ის მეთაურმა პირველი კლასის პილოტმა ამხ. პოლოსუხინმა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა: ამ ფრენის დროს ჩვენ დავგეგმეთ დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. სუბსტრატოსტატზე დადგმული იყო რამდენიმე ახალი ხელსაწყო, რომელიც საშუალებას გვაძლევს განსაკუთრებული სიზუსტით აღვბეჭდოთ დიდ სიმაღლეზე მომხდარი მოვლენები. ამ დაკვირვებათა პირველი ციკლი ჩვენ განვახორციელეთ 4 ათას მეტრ სიმაღლეზე, შემდეგ ზედმეტი ბალასტისაგან გავთავისუფლდით და სწრაფად წავედით მაღლა. 8.500 მეტრ სიმაღლეზე ტემპერატურა მინუს 35 გრადუსს უდრიდა.

10.200 მეტრ სიმაღლეზე თერმომეტრმა გვიჩვენა მინუს 52 გრადუსი. მე ძალიან შემცივდა ფეხზე. მეორე პილოტი ამხ. კრიკუნი, რომელიც ჩანაწერებს აკეთებდა ბორტჟურნალში, თითქმის ყოველ წუთში იცვამდა ბეწვის ხელთათმანს. ამ სიმაღლეზე ჩვენ დავყავით 30 წუთი და შემდეგ სწრაფად წამოვედით ძირს. ჩვენი მორიგი გაფრენა სტრატოსფეროს საზღვრისაკენ წარმატებით დამთავრდა. (საქდესი).

ფ. ე. ძერჟინსკისადმი მიძღვნილი გამოფენა

ფელიქს ედმუნდის-ძე ძერჟინსკის გარდაცვალების 20 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმში იხსნება მისი ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენაზე შეკრებილია 300-მდე ფოტოგრაფია, სურათები, წერილები და სხვა დოკუმენტები. ექსპონატებს შორის ბევრია ფ. ე. ძერჟინსკის პირადი ნივთები, რომლებიც მუზეუმს გადასცა მისმა ცოლმა სოფიო სიგიზმუნდის-ასულმა.

ერთ-ერთ სტენდზე მოყვანილია ამონაწერი დღიურიდან, რომელსაც ძერჟინსკი ვარშავის ციტადელში სწერდა. 1908-1909 წლებში აქ დაპატიმრებული ძერჟინსკი სწერდა:

„1908 წლის 31 დეკემბერი. დღეს ამა წლის უკანასკნელი დღეა. უკვე მეხუთედ ვარ საპყრობილეში (1898, 1901, 1902, 1907 — პირველად ამ თერთმეტი წლის წინათ!).

საპყრობილეში მე მოვმწიფდი ტანჯვაში, მარტოობაში, მშვიდობისა და სიცოცხლის წყურვილში. და მიუხედავად ამისა ჩვენი საქმის გამარჯვების ეჭვი არასოდეს დამბადებია".

ყურადღებას იპყრობს მეორე დოკუმენტი—ფურცელი მოსკოვის სასამართლო პალატის განაჩენიდან, რომლის მიხედვითაც ძერჟინსკის 1916 წელს ექვსი წლის კატორღა მიესაჯა 1910—1912 წლების პერიოდში რევოლუციური მოღვაწეობისათვის. იქვეა სტალინური პრემიის ლაურეატ რომადინის სურათი „პატიმართა პოლიტსწავლება ორიოლის ცენტრალში". ამ საკატორღო საპყრობილეში ფელიქს ედმუნდის-ძე სასჯელს იხდიდა 1914 წელს.

განსაკუთრებული განყოფილებანი მიძღვნილია ძერჟინსკის მოღვაწეობისადმი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის, გზათა სახალხო კომისრის, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. აქ ვიტრინის მინის ქვეშაა გაზეთ „პრავდის" 1918 წლის 8 დეკემბრის ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებულია ძერჟინსკის მოხსენება სახალხო კომისართა საბჭოსადმი, სიგელი ფელიქს ედმუნდის-ძის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ, ალბომი, რომელიც მას უძღვნეს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ჯარების პოლკის 1-ლი ათეულის მებრძოლებმა, და სხვა ექსპონატები.

გამოფენაზე ექსპონირებულია ბევრი წერილი ბავშვებისაგან. ეს წერილები ფ. ე. ძერჟინსკის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან მოსდიოდა. (საქდესი).

ახალგაზრდა სპეციალისტთა ახალი კადრები

საბჭოთა კავშირის ტექნიკუმებში მთავრდება გამოსაშვები გამოცდები. მანქანათმშენებლობის, ქიმიური, საფეიქრო და კვების მრეწველობის საწარმოები, რკინიგზისა და სამდინარო ტრანსპორტი და სოფლის მეურნეობა მიიღებენ 150 ათასამდე ახალგაზრდა სპეციალისტს.

10 ათასზე მეტ კვალიფიციურ მუშაკს გამოუშვებენ მოსკოვის ტექნიკუმები. კურსდამთავრებულნი გაიგზავნებიან ურალის, შორეული აღმოსავლეთის, უკრაინის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, სსრ კავშირის ცენტრალური ზოლის ფაბრიკა-ქარხნებსა და ახალმშენებლობებზე.

ტექნიკუმები ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის, აფართოებენ თავიანთ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. მეტალურგიული და ქიმიური ტექნიკუმები გახსნიან მთელ რიგ ლაბორატორიებს, ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტოსატრანსპორტო ტექნიკუმები ახლად მოაწყობენ სასწავლო სახელოსნოებს. სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ტექნიკუმებში მოეწყო რამდენიმე ავტომატური და ტელეფონის სადგური. სსრ კავშირის სამდინარო ფლოტის სამინისტრომ თავისი სასწავლებლებისათვის გამოჰყო ორთქლის მანქანები, ძრავები და დაზგები.

მოსკოვის ტექნიკუმებში 60 ათასამდე კაცი სწავლობს. ახალ სასწავლო წელს მიღებულ იქნება 16 ათასზე მეტი მოსწავლე. ბევრი განცხადება შემოაქვთ იმ პირთ, რომლებსაც სწავლა სურთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ტექნიკუმებში. (საქდესი).



ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობა. სამექანიკო-სააწყობო კორპუსი. სამუშაოთა მწარმოებელი ო. ბიბილეიშვილი (მარცხნივ) და სამუშაოების უფროსი მწარმოებელი ი. კომაროვსკი მთავარ კონვეიერის მშენებლობაზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ეროვნული

სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა პირველ განალეწ პურს ამზადებს სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად.

ფოტო რ. აკოფოვისა

მარცვლეული კულტურების მოსავალი აღებულია 77.105 ჰექტარზე

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროს ცნობებით, 15 ივლისისათვის მარცვლეული კულტურების მოსავალი აღებული იყო 77.105 ჰექტარზე. თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 21,9 პროცენტით.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში პურეულის მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია 1,3 პროცენტით, ქუთაისის რაიონში — 100,0, სამტრედიის — 85,0, წულუკიძის—53,0 მაიაკოვსკის — 15,3, ზესტაფონის—30,4, ორჯონიკიძის—11,9, ახალციხის—0,5, ასპინძის — 0,5, ხაშურის—7,4, ქარელის—6,5, გორის — 2,3, კასპის—6,9, ბორჯომის—1,3, დუშეთის—3,9, თეთრი წყაროს—18,0, გურჯაანის — 72,0, კაჭრეთის—39,0, სიღნაღის — 46,1, წითელწყაროს — 36,7, თელავის—64,0, ახმეტის—32,6, ყვარლის—83,4, ლაგოდეხის — 100,0, თბილისის—24,2, მცხეთის—30,0, ყარაიის—90,3, ბორჩალოს—48,2, ბოლნისის—36,9, საგარეჯოს—12,2, ბაშკიჩეთის რაიონში—9,0 პროცენტით.

საანეულო ხვნა კოლმეურნეობებში

15 ივლისისათვის საანეულო ხვნის გეგმები შესრულებული ჰქონდათ მცხეთის, ყვარლის, ახმეტის, წითელწყაროს, სიღნაღის, ასპინძის, ახალციხისა და ახალქალაქის რაიონებს.

ბოგდანოვკის რაიონში მოხნულია გეგმის 91,7 პროცენტი, ადიგენის რაიონში—57,5, ხაშურის—44,5, ქარელის—92,2, გორის—68,6, კასპის — 77,8, ბორჯომის—85,6, წალკის — 54,4, დუშეთის—84,7, თეთრი წყაროს —78,2, თიანეთის — 61,5, გურჯაანის —54,0, კაჭრეთის — 90,7, თელავის— 78,0, თბილისის—70,3, ყარაიის — 43,2, ბორჩალოს—74,1, ბოლნისის — 89,3, საგარეჯოს—69,7, ბაშკიჩეთის რაიონში—40,5 პროცენტი.

თივა აღებულია 60.645 ჰექტარზე

15 ივლისისათვის თბილისის რაიონის კოლმეურნეობებს თივის აღების გეგმა შესრულებული ჰქონდათ 102,0 პროცენტით, მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებს—113,0, ყარაიის—135,3 პროცენტით, ბორჩალოს — 107,8, თელავის—100,3, კაჭრეთის—104,4, გურჯაანის — 100,0, ლაგოდეხის—100,0, სიღნაღის — 90,5, წითელწყაროს — 81,4, ახმეტის—92,9, ყვარლის—87,0, ბოლნისის—93,7, საგარეჯოს — 50,2, ბაშკიჩეთის — 17,1, თიანეთის—9,0, თეთრი წყაროს—43,5, დუშეთის—7,3, წალკის—14,9, კასპის — 122,6, გორის —63,3, ქარელის—26,0, ხაშურის — 78,9, ასპინძის—32,2, ადიგენის—18,0, ახალციხის — 27,3, ახალქალაქის — 12,0, ქლუხორის — 18,0, ცაგერის — 16,5, ამბროლაურის — 3,5, ონის — 0,7, საჩხერის—12,4, ჭიათურის რაიონის კოლმეურნეობებს — 42,7, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებს—1,9 პროცენტით.

თივა სულ აღებულია 60.645 ჰექტარზე, რესპუბლიკური გეგმის 27,6 პროცენტი.

შეტეხილია 2.501.565 ზონარმეტრი თამბაქო

15 ივლისისათვის აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში შეტეხილი იყო 601.132 ზონარმეტრი თამბაქო, აჭარის ასსრ—113.044 ზონარმეტრი, ჩოხატაურის რაიონში — 668, სიღნაღის — 146.820, ყვარლის—28.990, ლაგოდეხის—1.049.628, ბორჩალოს—536.276, ბოლნისის რაიონში — 25.007 ზონარმეტრი.

15 ივლისისათვის საქართველოს სსრ კოლმეურნეობებს სულ შეტეხილი ჰქონდათ 2.501.565 ზონარმეტრი თამბაქო, წლიური გეგმის 2,6 პროცენტი.

რძის ჩაბარების წლიური გეგმა შეასრულეს

ზემო სვანეთის რაიონმა სახელმწიფოსათვის რძის სავალდებულო ჩაბარების წლიური გეგმა 15 ივლისისათვის 105 პროცენტით შეასრულა. ნაცვლად 162.500 ლიტრისა, სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 171.000 ლიტრი რძე.

დროშები და პრემიები დამზადებათა გეგმების შესრულებისათვის

საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულის სამმართველოსთან არსებულმა ჟიურიმ განიხილა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა 1946 წლის II კვარტალის გეგმების შესრულების შედეგები. ჟიურიმ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნო სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულთა სამმართველოები:

თეთრი წყაროს რაიონში (დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ამხ. ლონდარიძე)—მიეკუთვნა პირველი პრემია და დარჩა საქართველოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც მას მიღებული ჰქონდა 1946 წლის პირველი კვარტალის დამზადებათა გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

წალენჯიხის რაიონში (დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ამხ. კონჯარია), რომელსაც მიეკუთვნა პირველი პრემია და საქართველოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულის გარდამავალი წითელი დროშა. დროშა გადაეცა აჭარის ასს რესპუბლიკაში სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულის სამმართველოდან.

რესპუბლიკაში მეორე ადგილი დაიკავეს სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულთა სამმართველოებმა:

თბილისის რაიონში (რწმუნებული ამხ. მძევაშვილი), **ლაგოდეხის რაიონში** (რწმუნებული ამხ. მესხიშვილი), **მახარაძის რაიონში** (რწმუნებული ამხ. ღლონტი), რომელთაც მიეკუთვნათ მეორე პრემია.

რესპუბლიკაში მესამე ადგილი დაიკავეს სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულთა სამმართველოებმა:

ზესტაფონის რაიონში (რწმუნებული ამხ. ხაჟომია), **ახალციხის რაიონში** (რწმუნებული ამხ. ფრანგიშვილი), **თელავის რაიონში** (რწმუნებული ამხ. პაპუნაშვილი), რომელთაც მიეკუთვნათ მესამე პრემია.

ჟიურიმ აღნიშნა კარგი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების 1946 წლის მეორე კვარტალის დამზადებათა გეგმების შესრულებაში სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს შემდეგი რწმუნებულებისა:

ადიგენის რაიონში რწმუნებული ამხ. ჰასხარაშვილი, ბაშკიჩეთის—ამხ. ნოდია, ბოგდანოვკის—ამხ. კოტოიანი, ბორჩალოს—ამხ. ხუდადიანი, გურჯაანის—ამხ. ფეიქრიშვილი, ზუგდიდის — ამხ. კაკალია, ქლუხორის—ამხ. ტომარაძე, ორჯონიკიძის—ამხ. ბოგვერაძე, სამტრედიის—ამხ. ტორონჯაძე, საჩხერის—ამხ. აბესაძე, სიღნაღის—ამხ. მორჩაძე, ქუთაისის—ამხ. ბოჭორიშვილი, ყაზბეგის—ამხ. ხეთაგური, ჩხარის — ამხ. დადუნაშვილი, ჩხოროწყუს—ამხ. ქებურია, ცხაკაიას—ამხ. გოგინავა, წყალტუბოს—ამხ. საკანდელიძე, ხაშურის—ამხ. გოგალაძე.

ჩაის ფოთლის დამზადება
(საქართველოს სსრ ჩაის ტრესტის 15 ივლისის ცნობებით)

რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ივლისის გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ივლისის გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმი	55,0	36,4	ქუთაისი	74,5	38,2
ქობულეთი	56,6	37,6	წყალტუბო	82,5	29,0
გალი	65,6	45,5	ტყიბული	50,1	25,7
ოჩამჩირე	70,4	61,3	ცხაკაია	55,1	48,8
გულრიფში	137,6	85,0	აბაშა	56,7	26,3
სოხუმი	116,0	90,0	გეგეჭკორი	55,7	35,7
გუდაუთი	59,9	33,3	ზუგდიდი	58,2	36,7
მახარაძე	58,8	49,6	წალენჯიხა	60,7	40,8
ჩოხატაური	64,0	42,2	ჩხოროწყუ	60,0	42,7
ლანჩხუთი	63,3	52,6	ხობი	63,9	53,1
სამტრედია	61,7	44,9	ჩხარი	73,0	27,5
წულუკიძე	68,9	49,5	ზესტაფონი	73,0	55,0

ქობულეთის, მახარაძის, ლანჩხუთისა და გუდაუთის რაიონების ცნობები არასრულია.

მთლიანად საქართველოში ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 60,1 პროცენტით, ივლისისა — 43,3 პროცენტით.

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად

ახალი სტალინური ხუთწლედი და საწარმოო ძალთა განლაგება

მეფის რუსეთის ეკონომიურ ჩამორჩენილობასა და სისუსტეს მრეწველობის მეტად მახინჯი განლაგებაც აღრმავებდა.

უცხოეთის საქციო საზოგადოებანი, რომლებიც მეფის რუსეთის მრეწველობაში პარპაშებდნენ, დაინტერესებული არ იყვნენ ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებით. უცხოელი და რუსეთის კაპიტალისტები ცდილობდნენ რაც შეიძლება ნაკლები სახსრები დაებანდებინათ მრეწველობაში და რაც შეიძლება მეტი მოგება მიეღოთ. ამ მიზანს იოლად აღწევდნენ უკვე ათვისებულ რაიონებში. აქ საჭირო არ იყო სახსრების ხარჯვა წიაღის გამოკვლევაზე, რკინიგზების გაყვანაზე, ახალი დაბებისა და ქალაქების მშენებლობაზე.

რუსეთს ჰქონდა ქვანახშირისა და მეტალურგიის მხოლოდ ერთი ბაზა — დონბასი და დნეპრისპირეთი, ნავთის მხოლოდ ერთი ბაზა — კავკასია. ქვეყნის ექვსი რაიონი — პეტერბურგისა, მოსკოვისა, ურალი, დონბასი, უკრაინის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, ბაქო, — რომლებსაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 4 პროცენტზე ცოტა მეტი ეჭირათ, რუსეთის მთელი სამრეწველო პროდუქციის $^2/_3$-ზე მეტს იძლეოდა. უდიდესი მანქანათსამშენებლო ცენტრი—პეტერბურგი თითქმის მხოლოდმხოლოდ ინგლისის ქვანახშირით მარაგდებოდა. საფეიქრო მრეწველობას თავისთვის საჭირო ბამბის ნახევარი საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა. შუა აზიის ბამბა ივანოვოში მოსკოვზე გავლით მიდიოდა.

როცა პირველი მსოფლიო ომის დროს პეტერბურგი უცხოეთის ქვანახშირს მოწყვეტილი აღმოჩნდა, დედაქალაქის საწარმოები სათბობის უმწვავეს კრიზისს განიცდიდნენ. ცენტრის ბამბეულის მრეწველობამ, საიმპორტო ნედლეული რომ დაჰკარგა, 1914 წლის შემოდგომაზევე დაიწყო წარმოების შემცირება, რითაც საფრთხეში აყენებდა არმიის მომარაგებას ჩაცმულობით.

დიდი რუსი მეცნიერი დ. ი. მენდელეევი თავის დროზე დაჟინებით, მაგრამ უშედეგოდ მოითხოვდა ურალისა და ციმბირის სამრეწველო განვითარებას. სახელგანთქმული გეოლოგი ლ. ი. ლუტუგინი, რომელიც დიდხანს სწავლობდა კუზნეცკის აუზს, ისე მოკვდა, რომ თავისი ბეჯითი შრომის შედეგები ვერ იხილა: კუზნეცკის აუზი ნიკოლოზ II-ს საკუთრება იყო. ამ მხარის აურაცხელი სიმდიდრე თვით ოქტომბრის რევოლუციამდე არ დამუშავებულა. რუს მეცნიერებს ეკუთვნით კურსკის ანომალიის აღმოჩენისა და გამოკვლევის პატივი, მაგრამ ამაშიც ვერ ჰპოვეს ვერავითარი ხელშეწყობა მეფის გონებაჩლუნგ ხელისუფალთაგან.

ინიციატივიანმა რუსმა ადამიანმა სიდოროვმა თავისი სიცოცხლე ჩრდილოეთის სიმდიდრეთა შესწავლას შესწირა. მის მიერ მეფისათვის წარდგენილ მოხსენებას „ჩრდილოეთ რუსეთის გაჭირვებიდან გამოყვანის საშუალებათა შესახებ“ „გენერალ-ადიუტანტმა ზინოვიევმა ასეთი პასუხი დააწერა: „ვინაიდან ჩრდილოეთში მუდმივი ყინულებია, ხვნა-თესვა შეუძლებელია და სხვა სარეწებიც წარმოუდგენელია, ჩემი და ჩემი მეგობრების აზრით, საჭიროა მთელი ხალხი ჩრდილოეთიდან სახელმწიფოს შიდა მხარეებში გადმოიყვანოთ, თქვენ კი პირიქით ცდილობთ და ლაპარაკობთ რაღაც ჰოლფშტრემზე, რომელიც არ შეიძლება ჩრდილოეთში არსებობდეს. ასეთი იდეების გატარება მხოლოდ შეშლილებს შეუძლიათ“.

* * *

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ თავიდანვე უაღრესად სერიოზული ყურადღება მიაქციეს ჩვენს ქვეყანაში საწარმოო ძალთა განლაგებას.

1918 წლის აპრილში ლენინი სწერდა, რომ საჭიროა „შეიქმნას სპეციალისტთა მთელი რიგი კომისიები რუსეთის მრეწველობის რეორგანიზაციისა და ეკონომიური აღმავლობის გეგმის რაც შეიძლება სწრაფად შესადგენად“. ასეთი გეგმის პირველ ამოცანად ლენინი სახავდა „რუსეთში მრეწველობის რაციონალურ **განლაგებას** ნედლეულის სიახლოვის თვალსაზრისით“... (ტ. XXII, გვ. 434).

საწარმოო ძალთა რაციონალური განლაგება იწვევს მატერიალური სახსრების უდიდეს მომჭირნეობას და ხელს უწყობს წინათ ჩამორჩენილი განაპირა მხარეების უსწრაფეს აყვავებას. იგი ხელს უწყობს ბუნებრივ სიმდიდრეთა საუკეთესოდ გამოყენებას, ნედლეულის, სათბობის, მზა პროდუქციის შორ მანძილზე გადაზიდვასთან დაკავშირებული შრომისა და სახსრების ხარჯვის მინიმუმამდე შემცირებას.

1921 წელს პარტიის X ყრილობამ ამხანაგ სტალინის ინიციატივით მიიღო გადაწყვეტილება განაპირა მხარეებში მრეწველობის გეგმაშეწონილად დანერგვის შესახებ „ნედლეულის წყაროებთან ფაბრიკების გადატანის გზით“. XII პარტიულ ყრილობაზე ამხანაგი სტალინი კვლავ მიაპყრობს პარტიის ყურადღებას ნაციონალურ რესპუბლიკებში მრეწველობის განვითარებისაკენ.

პირველი ხუთწლედის პერიოდში ამხანაგი სტალინი აყენებს აღმოსავლეთში ქვანახშირისა და მეტალურგიის მეორე ბაზის შექმნის ამოცანას. კუზნეცკის ქვანახშირის აუზი მეორე დონბასი ხდება. შემდეგ სწრაფი ტემპებით ჩაღდება მუშაობა „მეორე ბაქოს“ შესაქმნელად. ამხანაგ სტალინის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია აღმოსავლეთში შავი და ფერადი მეტალურგიის, ქვანახშირის მრეწველობის, მანქანათმშენებლობის შექმნა.

სტალინური ხუთწლედების წლებში ჩატარებულმა ტიტანურმა მუშაობამ გარდაქმნა ჩვენი სამშობლოს სახე.

1913 წელს ქვანახშირის ყველა აუზში, დონეცის აუზის გამოკლებით, მხოლოდ 3,8 მილიონი ტონა ქვანახშირი მოიპოვეს, 1938 წელს კი 52,2 მილიონი ტონა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქვანახშირის ახალი აუზები მესამე ხუთწლედის დამდეგს თითქმის ერთიორად მეტ ქვანახშირს იძლეოდნენ, ვიდრე მეფის რუსეთის მთელი ქვანახშირის მრეწველობა, და უფრო მეტს, ვიდრე იძლეოდა დონბასი მეორე ხუთწლედის დამდეგს. 1938 წელს ჩვენს ქვეყანაში მოპოვებული მთელი ქვანახშირის უკვე 40 პროცენტი აღმოსავლეთისა და მოსკოვის რაიონის წილად მოდიოდა.

ნავთის მოპოვება მთელ ჩვენს ქვეყანაში 25 წლის მანძილზე (1913-1938 წ. წ.) გაიზარდა 3,5-ჯერ, ხოლო ნავთის ახალ რაიონებში — 15,4-ჯერ.

აღმოსავლეთმა მიიღო მძლავრი შავი მეტალურგია, რომელიც ნედლეულის საკუთარ ბაზას ეყრდნობა. 1937 წელს კრივოი როგისა და ყირიმის გამოკლებით, მოპოვებულ იქნა 10,6 მილიონი ტონა მადანი. ეს იმაზე მეტია, რასაც მთელი რევოლუციამდელი რუსეთი იძლეოდა! აღმოსავლეთის ახალ ქარხნებში 1937 წელს გამოდნობილ იქნა 4,1 მილიონი ტონა თუჯი, თითქმის იმდენივე, რაც მთელ რევოლუციამდელ რუსეთში. გარდა ამისა, 1,2 მილიონ ტონა თუჯს იძლეოდა ცენტრი. კიდევ უფრო ხელსაყრელ სახეს იღებდა ფოლადის წარმოების ბალანსი: 1937 წელს ცენტრსა და აღმოსავლეთში გამოდნობილ იქნა 8,4 მილიონი ტონა ფოლადი, რაც ერთიორად აღემატებოდა ფოლადის მთელ წარმოებას მეფის რუსეთში.

ნაციონალური რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის განვითარების ლენინურ-სტალინური პოლიტიკის თანმიმდევრულად განხორციელების შედეგად მათი სამრეწველო განვითარება განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობდა.

განსაცვიფრებელია ურალის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის მეურნეობის განვითარების ტემპები. რევოლუციამდელ დროსთან შედარებით 1938 წელს ქვანახშირის მოპოვება კუზბასში გაიზარდა 22,4-ჯერ, ურალში — 6,6-ჯერ, აღმოსავლეთ ციმბირში — 8-ჯერ, შორეულ აღმოსავლეთში 12,7-ჯერ. ორ ხუთწლედში თუჯის გამოდნობა ურალში 3,7-ჯერ გადიდდა, ციმბირში—259-ჯერ.

ომის დღეებში აღმოსავლეთ რაიონებში ევაკუირებულ იქნა 1.300 მსხვილი საწარმო. ამ რაიონებში ომიანობის დროსაც გრძელდებოდა ახალი ინდუსტრიული მშენებლობა. ამის შედეგად, სამამულო ომის დასასრულისათვის აღმოსავლეთში ერთიორად მეტი სამრეწველო პროდუქცია მზადდებოდა, ვიდრე 1941 წლის პირველ ნახევარში. ამ ხნის განმავლობაში აქ ახლად შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი დარგები— მარგანეცისა, ალუმინისა, მილისა, ფერადი ნაგლინისა, დაზგათმშენებლობა, საავტომობილო მშენებლობა, საავიაციო მშენებლობა და სხვა.

* * *

ახალი ხუთწლიანი გეგმა უზრუნველყოფს მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტის პირველ რიგში აღდგენასა და განვითარებას. მათზე დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის გაშლის ტემპები.

1946-1950 წლების განმავლობაში აღდგენასა და ახალ მშენებლობაზე დაბანდებული იქნება 250 მილიარდი მანეთი, აქედან 115 მილიარდი მანეთი, ესე იგი მთელ დაბანდებათა 46 პროცენტი, გამოყოფილია მეურნეობის აღსადგენად იმ რაიონებში, რომლებიც ფაშისტმა დამპყრობლებმა გააპარტახეს. აქ სამრეწველო წარმოება ხუთწლედში 3,9-ჯერ გაიზრდება; მოქმედთა მწყობრში ჩადგება სავსებით აღდგენილი 3.200 მსხვილი საწარმო (წვრილი საწარმოები რომ არ ვიანგარიშოთ).

ხუთწლიანი გეგმა შედგენილია იმ ანგარიშით, რომ დაზარალებული რაიონების მრეწველობისა და ტრანსპორტის აღდგენის პროცესში ლიკვიდირებულ იქნას მრეწველობის ომამდელი განლაგების ნაკლოვანებანი. ყველა ამ რაიონში აღდგენილი იქნება და განვითარდება საკუთარი ენერგეტიკული და სათბობის ბაზები, სამშენებლო მასალათა მრეწველობა, ფართო მოხმარების საგნების წარმოება.

განთავისუფლებულ რაიონებში ტარდება არა მარტო აღდგენითი სამუშაოები. აქ, გარდა ამისა, შენდება ბევრი ახალი საწარმო. მაგალითად, უკრაინაში, სხვათა შორის, შენდება საავტომობილო ქარხანა და ორი ავტოსაამწყობო ქარხანა, ბელორუსიაში — საავტომობილო, სატრაქტორო, ველოსიპედის ქარხნები, სამი სახლთსამშენებლო კომბინატი, ესტონეთში—ფიქალებიდან გაზის გამომუშავების ქარხნები და სხვ.

სსრ კავშირის ცენტრის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის ოლქებისა და რესპუბლიკების სახალხო მეურნეობაში დაბანდებულ იქნება 135 მილიარდამდე მანეთი.

განსაკუთრებით სწრაფად განვითარდება ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მეურნეობა. ჩვენი ქვეყნის ამ უმნიშვნელოვანესი რაიონების განვითარების გეგმას საფუძვლად უდევს მათი მეურნეობის ყოველმხრივი განვითარების პრინციპი.

ფართოდ გაჩაღდება აღმოსავლეთის შავი მეტალურგიის ახალ საწარმოთა მშენებლობა და მოქმედთა გაფართოება. დამთავრდება ნოვო-ტაგილისა და ჩელიაბინსკის ქარხნების მშენებლობა; ეს უკანასკნელი ჩვენს ქვეყანაში ხარისხოვან ლითონთა ყველაზე დიდი ქარხანა გახდება. ახალი აგრეგატების ამუშავების შემდეგ მაგნიტოგორსკის კომბინატის სიმძლავრე თითქმის მიაღწევს მთელი რევოლუციამდელი მეტალურგიის სიმძლავრეს. გაგრძელდება ოთხი მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა ციმბირსა და ურალში. ახალი ხუთწლედის დამლევისათვის თუჯის გამოდნობა ურალში 2,5-ჯერ გადააჭარბებს ომამდელს. აღმოსავლეთის რაიონები გამოადნობენ მთელი იმ თუჯის 44 პროცენტს და მთელი იმ ფოლადის 51 პროცენტს, რაც ჩვენს ქვეყანაში 1950 წელს დამზადდება.

იცვლება რაიონებისა და ოლქების ურთიერთკავშირი. მცირდება სამეტალურგიო ნედლეულის შორ მანძილზე გადაზიდვა, კერძოდ მცირდება ურალის მადნის შეტანა დასავლეთ ციმბირში. ამ უკანასკნელის წინაშე დგას ამოცანა 2 მილიონ ტონამდე აიყვანოს თავისი რკინამადნეულის ბაზის სიმძლავრე.

ახალი ხუთწლედის განმავლობაში ყაზახეთში დამთავრდება საფოლადე თუჯის ქარხნის მშენებლობა, რაც ომის წლებში დაიწყო. ამავე დროს ატასუის რკინის მადნებისა და ყარაგანდის ქვანახშირის ბაზაზე ყაზახეთში დაიწყება სრული მეტალურგიული ციკლის ქარხნის მშენებლობა. საფოლადე თუჯის საწარმოს მშენებლობას ამთავრებს უზბეკეთიც.

შორეული აღმოსავლეთი, ფოლადისა და ნაგლინის გარდა, დაიწყებს თავისი კოქსისა და თუჯის წარმოებას. საკუთარ მეტალურგიას მიიღებენ ამიერკავკასიის რესპუბლიკებიც: საქართველოში შენდება დამთავრებული ციკლის მეტალურგიული ქარხანა, აზერბაიჯანში—დიდი მილსაგლინავი ქარხანა.

ლენინგრადის მრეწველობის ისტორიაში ახალ ფურცელს ჩასწერს მეტალურგიული ქარხანა, რომელიც ამჟამად მის რაიონში შენდება; იგი იმუშავებს პეჩორის ქვანახშირისა და კოლის მადნების ბაზაზე. ჩვენი ქვეყნის ცენტრში ხალხის სამსახურში ჩადგებიან კურსკის მაგნიტური ანომალიის სიმდიდრენი.

სსრ კავშირის უკლებლივ ყველა ეკონომიურ რაიონში, ოლქსა და რესპუბლიკაში ჩაღდება ახალ ელექტროსადგურთა ფართო მშენებლობა. ახალი ელექტრომშენებლობის ხუთწლედის უაღრესად დამახასიათებელი თავისებურებაა ჰიდროსადგურებისა და ადგილობრივ სათბობზე მომუშავე სადგურების რიცხვის გადიდება.

სწრაფი ტემპებით გაიზრდებიან ქვანახშირის ახალი აუზები, ომამდელ დონესთან შედარებით ქვანახშირის მოპოვება ხუთწლედის დამლევისათვის ამიერკავკასიაში თითქმის ერთიორად გაიზრდება, ურალში — 163 პროცენტით, ყარაგანდაში — 132 პროცენტით, კუზნეცკის აუზში — 68 პროცენტით, შორეულ აღმოსავლეთის რაიონებში — 65 პროცენტით. 7,7 მილიონი ტონა ქვანახშირის სიმძლავრის შახტები აიგება პეჩორის აუზში, ევროპის ჩრდილოეთისა და ლენინგრადის ამ საქვანახშირო ბაზაში. დაიწყება ქვანახშირის ახალი აუზების ათვისება — ბურეინისა ხაბაროვსკის მხარეში, ეკიბასთუზისა ყაზახეთში, ყუიურგაზისა ბაშკირეთში, უზგენისა ყირგიზეთში. ქვანახშირის მრეწველობა იქმნება უკრაინის მარჯვენა ნაპირისა და დასავლეთ ოლქებში.

სათბობის მრეწველობის განვითარების გეგმა ითვალისწინებს „მეორე ბაქოს“ ნავთის მრეწველობის განსაკუთრებით სწრაფ ზრდას. ნავთის მოპოვება ურალში 1940 წელთან შედარებით 3,2-ჯერ უნდა გადიდდეს, ვოლგისპირეთში—11-ჯერ. 1950 წელს რსფს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოპოვებულ იქნება 14,5 მილიონი ტონა ნავთი—თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე რევოლუციამდელი ბაქო იძლეოდა. დიდად ფართოვდება ნავთის მოპოვება ყაზახეთსა და უზბეკეთში.

საჭირო არ არის სიტყვის გაგრძელება იმაზე, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და აღმავლობისათვის ყოველმხრივ განვითარებულ მანქანათმშენებლობას. ახალი ხუთწლიანი გეგმით დაპროექტებულია მანქანათმშენებლობის უკლებლივ ყველა დარგის ქარხნების ფართო მშენებლობა. ამასთან გაგრძელდება საწარმოთა კოოპერირება ეკონომიური რაიონების შიგნით, კერძოდ კოოპერირება სხმის, ჭედვისა და ტვიფრვის დარგში. ეს ხელს შეუწყობს მოწყობილობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ფართო მოხმარების საგნების წარმოების უკეთესად მოწყობას.

ომამდე ჩვენ გვქონდა ოთხი საავტომობილო ქარხანა, რომლებიც მდებარეობენ საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ცენტრში — მოსკოვში, გორკისა და იაროსლავლში. ახალი ხუთწლედის დამლევს ჩვენ უკვე ათი საავტომობილო ქარხანა გვექნება. თავისი ავტომრეწველობა ექნებათ: უკრაინას (დნეპროპეტროვსკი), ამიერკავკასიას (ქუთაისი), ბელორუსიას (მინსკი), შუა ვოლგას (ულიანოვსკი), ურალს (მიასი), დასავლეთ ციმბირს (ნოვოსიბირსკი). გარდა ამისა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში შენდება ავტოსაამწყობო ქარხნები.

სერიოზული ცვლილებები ხდება სატრაქტორო მრეწველობის განლაგებაში. შენდება ალტაისა და ვლადიმირის ქარხნების პირველი რიგები, დასასრულს უახლოვდება ლიპეცკის ქარხნის მშენებლობა, იქმნება სატრაქტორო ქარხანა ომსკში. ამრიგად, სატრაქტორო ქარხნები უახლოვდებიან მოხმარების რაიონებს. ისინი განლაგებული იქნებიან რუსეთის ევროპული ნაწილის ცენტრალურ რაიონებში (ვლადიმირი, ლიპეცკი), ვოლგისპირეთში (სტალინგრადი), უკრაინაში (ხარკოვი), ბელორუსიაში (მინსკი), ურალში (ჩელიაბინსკი), ციმბირში (ალტაის რუბცოვსკი).

ჩვენი ქვეყნის ყოველ ძირითად რაიონში ვითარდება დაზგათმშენებლობა, ენერგომანქანათმშენებლობა, სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება.

ყარატაუში ფოსფორიტების საბადოთა აღმოჩენა და შუა აზიაში სუპერფოსფატის ქარხნების აგება მოიწვევს შუა აზიაში ტუკის მრეწველობის შექმნას.

თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში მოეწყობა შაქრის წარმოება.

ბამბის ქსოვილებს დიდი რაოდენობით დაამზადებს შუა აზიისა და ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკა. ჩელიაბინსკი — ლითონის, მილების, ტრაქტორების, ინსტრუმენტის, დაზგების ქალაქი — საფეიქრო მრეწველობას ჰქმნის. კუზნეცკის აუზი — ქვანახშირისა და ლითონის ცენტრი— აგრეთვე მიიღებს თავის საფეიქრო მრეწველობას.

ხუთწლიანი გეგმა დიდ ყურადღებას უთმობს ახალი საბჭოთა რესპუბლიკებისა და ოლქების სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას.

უდიდესი ცვლილებები მოხდება ევროპის ჩრდილოეთში. 1950 წელს იმიერპოლარული საცეცხლური მეტ სათბობს მოგვცემს, ვიდრე ამჟამად ყარაგანდა იძლევა. სატყეო მრეწველობის წინაშე დასმულია ამოცანა აითვისოს ახალი მასივები სევერნაია დვინას და მისი შენაკადების, პეჩორის, კამის, ვიატკის, კილმეზის, უნჟის, ვეტლუგის, ბელაიას აუზებში.

ახალი რაიონების ათვისებაში უდიდეს როლს შეასრულებენ სარკინიგზო მშენებლობა და სამდინარო, საზღვაო, საჰაერო გზები, რომლების გაყვანაც სწარმოებს. მაგალითად, სტალინგრად-მაგნიტოგორსკის ახალი მაგისტრალი, რომელიც ხაკასთა ავტონომიური ოლქის ცენტრ აბაკანიდან გავის სტალინსკზე, ბარნაულზე, აკმოლინსკზე და გამოდის კუიბიშევის რაიონში, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ციმბირის ბევრი რაიონის განვითარებაში.

ჩრდილოეთის საზღვაო გზის გადაქცევა ნორმალურად მოქმედ სანაოსნო მაგისტრალად, მთელი რიგი საზღვაო ნავსადგურების მშენებლობის დამთავრება შორეულ აღმოსავლეთში, ტვირთზიდვის განვითარება ობზე, ირტიშსა და შორეულ რაიონების სხვა მდინარეებზე, მცირე მდინარეთა ათვისება, საჰაერო მიმოსვლის განვითარება ჩრდილოეთის, ციმბირის, შორეულ აღმოსავლეთის რაიონებში — ყოველივე ეს იმ ღონისძიებათა ერთიანი კომპლექსის რგოლებია, რომლებიც მიმართულია ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების შემდგომი სამეურნეო აღმავლობისაკენ.

* * *

პირველი ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა კიდევ უფრო მიაახლოებს მრეწველობას ნედლეულის წყაროებთან და მოხმარების რაიონებთან, ხელს შეუწყობს არარაციონალური და მეტისმეტად შორეული ტვირთზიდვის ლიკვიდაციას და ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, ჩვენი ქვეყნის ყველა ეკონომიური რაიონის სწრაფად განვითარებას.

ა. ფილიპოვი

პარტიული ცხოვრება

„შეხმატკბილებული" მუშაობა და ჩაშლილი საქმე

აჩიგვარის ჩაის ფაბრიკას მაისში არც ერთი კილოგრამი პირველი ხარისხის პროდუქცია არ მოუცია. არც ივნისში იყო უკეთესი მდგომარეობა. ცდება მანქანები, ირღვევა ტექნოლოგიური პროცესი, საამქროებში ანტისანიტარიაა. მზა პროდუქციის საამქროში მაისიდან მოყოლებული უპატრონოდ ყრია 40 ტონა დაუხარისხებელი ჩაი. ფაბრიკის მიმღებ პუნქტში უხვად არის დაგროვილი ჩაის ფოთოლი, ხოლო როლერები და საშრობები ცარიელია. ირღვევა შრომის დისციპლინა, პირველ რიგში თვით ხელმძღვანელების მიერ. მაგალითად, 7 ივლისს დღის 12 საათიდან 4 საათამდე არც ერთი მორიგე ტექნოლოგი არ იყო ფაბრიკაში. არც არავინ იცოდა სად იყვნენ ისინი. არც დირექტორი ამხ. ლ. ქირია იყო ადგილზე. დაინტერესდით. მასალის მოსატანად წასულიყო, მაგრამ დამახასიათებელია ერთი დეტალი: საღამოს, უკან რომ დაბრუნდა, ფაბრიკაში არც კი შეუხედნია, დამლაგებელი გააფრთხილა — თუ ვინმემ მკითხოს, ასე უთხარი არ დაბრუნებულაო — და სახლისაკენ არხეინად გასწია. ამავე დღეს საწყობის გამგე ე. ანთელავა ფაბრიკის სატვირთო მანქანას რკინიგზის გალის სადგურსა და აჩიგვარს შორის დააქროლებდა, გზაზე ხშირად აჩერებდა და მადლობის მაგიერ მგზავრებს ლანძღავდა (ალბათ, ნავარაუდევი თანხა ვერ შეაგროვა). ამის შესახებ ფაბრიკის ხელმძღვანელობას მოახსენდა, მაგრამ ანთელავას წარბიც არ შეუხრია—კვლავ წაიყვანა მანქანა და ამჯერად გამოურკვეველი მიმართულებით გაემგზავრა. არც ამისათვის დაუსჯია იგი ვინმეს, შეიწყნარეს—„საჭირო კაციაო".

პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. გ. მურღულიამ საჭიროდ არ ჩასთვალა ამ „უმნიშვნელო" საკითხისათვის ყურადღება მიექცია. აკი იგი სამეურნეო ხელმძღვანელობასთან „შეხმატკბილებულად" მუშაობს!

მაინც რას აკეთებს პარტიული ორგანიზაცია, როცა ფაბრიკაში ასეთი დამაფიქრებელი მდგომარეობაა? ბევრს არაფერს. პარტიული კრებები მოუმზადებლად ტარდება. არ ხდება საკითხების შერჩევა. შთაბეჭდილება იქმნება, რომ კრებას ფორმალურად, მოვალეობის მოსახდელად იწვევენ, ხოლო სამარცხვინო მდგომარეობა, რომელიც წარმოებას აქვს, პარტიულ ორგანიზაციას სრულებით არ აღელვებს.

ერთ-ერთ პარტიულ კრებაზე მოისმინეს ინფორმაციები სასადილოს მუშაობისა და ჩაის გადამუშავების მიმდინარეობის შესახებ. საჭირო საკითხებია, მაგრამ რა? კამათში გამოსულმა კომუნისტებმა ა. ცხადაიამ, ლ. ქირიამ, ნ. ჩომახიამ, აღნიშნულ საკითხებს გარდა, ყველაფერზე ილაპარაკეს, არც ერთი საქმიანი წინადადება არ წამოუყენებიათ. არც დადგენილების მიღება ჩასთვალეს საჭიროდ (თითქოს ჩაის გადამუშავების საქმეში და სასადილოში ყველაფერი რიგზე ჰქონდეთ). ამავე კრებაზე აგიტატორების ინფორმაციებიც მოისმინეს. კამათში ერთი კაცი (ი. საჯაია) გამოვიდა. მისი სიტყვა ასე ჩაიწერა ოქმში: „ზოგიერთი აგიტატორები მართალია კარგად ატარებენ აგიტაციას, მაგრამ ზოგიერთი აგიტატორის მუშაობა სუსტია. საჭიროა ჩამორჩენილ აგიტატორებმა გამოასწორონ მუშაობა". დადგენილებაც ასევე ზოგადი ხასიათისა მიიღეს: „დაევალოს აგიტატორებს აგიტაცია აწარმოონ ყოველდღიურად განსაკუთრებით დომხოზიაკებთან" (!). კრებამ უქმად ჩაიარა. ხუთი თვე გავიდა მას შემდეგ, მაგრამ სასადილო ისევ ცუდად მუშაობს, ჩაის გადამამუშავებელ საამქროში კვლავ შეფერხებებია, ხოლო აგიტატორები მ. შელია, მ. ბაკლაჟენკო, მ. ჩოჩია, თ. შენგელია და სხვები თავის ნებაზე მუშაობენ—შემთხვევიდან შემთხვევამდე ატარებენ აგიტაციას. არავითარი მუშაობა არ სწარმოებს უპარტიო აქტივთან. ამის გამო მთელი ნახევარი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი კაცი იქნა პარტიის რიგებში მიღებული. ფაბრიკაში ჩამოყალიბებულია საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრე, რომელსაც ბუხჰალტერი ნ. პუშკოვი ხელმძღვანელობს. წრე ცუდად მუშაობს, მაგრამ არც მისი მუშაობით დაინტერესებულა პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

კომუნისტების დიდი ნაწილი პარტიულ ცხოვრებაში არ მონაწილეობს, მიცემული არა აქვს პარტიული დავალება. პარტიული ორგანიზაციის მდივანს გ. მურღულიას ქაღალდის ნაფლეთზე აქვს ჩამოწერილი რაღაც სია, რომელიც, მისი განცხადებით, მოვალეობათა განაწილებაა. მართალია, ზოგიერთს აქვს პარტიული დავალება, მაგრამ ისიც ფორმალურია. პარტიულ ორგანიზაციას სრულებით არ აინტერესებს, თუ ვინ როგორ ასრულებს დავალებას. კომუნისტი ნ. ჩომახია კედლის გაზეთის რედაქტორია. გაზეთი მხოლოდ დღესასწაულების დროს გამოდის. გაზეთში ერთ შენიშვნასაც ვერ იპოვნით ფაბრიკაში არსებულ ნაკლოვანებათა და უმსგავსოებათა შესახებ.

მოუგვარებელია პარტიული მეურნეობაც. კრების ოქმები სათანადოდ არ ფორმდება. არცერთ ოქმს იანვრიდან ივნისამდე თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერა არა აქვს. ოქმები საერთოდ სამარცხვინოდ იწერება. ორ მაგალითსაც დავასახელებთ: 28 მარტს ჩატარებული კრების დღის წესრიგის პირველი საკითხი ასეა ოქმში შეტანილი: „წინე პარტ-კრებაში ღონისძიების კაპ. რემონტის შესრულების და ხარისხობრივად ჩატარებული შესრულების მიმდინარეობაზე". ერთი თვის შემდეგ მოწვეული კრების ოქმში ასეთ რაიმეს ვკითხულობთ: „მოისმინეს შრომის დისციპლინის მიმდინარეობაზე ინფორმაცია დირექტორი ლ. ქირიასი". „დაადგინეს—დაევალოს ფაბრიკის დირექტორს ამხ. ლ. ქირიას სისტემატური შემოწმება მოახდინოს თანამშრომლებთან შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, დაევალოს მასვე ამხ. ლ. ქირიას შრომის დისციპლინის დამრღვევი პიროვნება გადასცეს პასუხისგებაში როგორიცაა წესი ისე, დაევალოს მეტაბელეს რომელიმე დაგვიანებულზე აცნობოს დირექციის ზომების მისაღებად".

როგორ მოიწონეს ამ ოქმის შინაარსი, ენა და სტილი პარტიის გალის რაიკომის მუშაკებმა, ეს ჩვენ არ ვიცით, მაგრამ მდივანი დაბეჯითებით გვიმტკიცებს: „ოქმის ასლი რაიკომს გადავუგზავნე, მაგრამ არავის დაუწუნებიაო".

სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის ფაბრიკაში არავინ ზრუნავს. მუშათა კომიტეტის თავმჯდომარემ ერთი სტახანოველის გვარიც ვერ დაგვისახელა. ბოლოს მუშა პოლიანოვა მოაგონდა: მგონი ის უნდა იყოს სტახანოველიო, მაგრამ არც სახელი იცოდა მისი და არც სამუშაო ადგილი.

უპასუხისმგებლობის, დაუდევრობის ფაქტები, რასაც ადგილი აქვს აჩიგვარის ჩაის ფაბრიკაში კიდევ ბლომად შეიძლებოდა დაგვესახელებინა, მაგრამ რაც ითქვა, საკმაოა იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ სამეურნეო ხელმძღვანელობასთან პარტიული ორგანიზაციის მდივნის „შეხმატკბილებულ" მუშაობაზე.

საკითხავია იცის თუ არა პარტიის გალის რაიკომმა ფაბრიკაში არსებული მდგომარეობა?

აჩიგვარის ჩაის ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის და საერთოდ მთელი კოლექტივის მუშაობა არსებით გაჯანსაღებას საჭიროებს.

ს. შონია

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

სამშობლო მოითხოვს მსუბუქი მრეწველობის მუშაკებისაგან მეტსა და უკეთესი ხარისხის საქონელს

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა ვერ შეასრულეს მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა. მარტო ფეხსაცმლის ფაბრიკებმა განვლილ 6 თვეში ქვეყანას 100.000 წყვილზე მეტი ფეხსაცმელი დააკლეს. 1 მილიონამდე მანეთად ღირებული შეკერილი ტანსაცმელი ვერ მოგვცეს სამკერვალო ფაბრიკებმა. ცუდად მუშაობენ და გეგმებს სისტემატურად ვერ ასრულებენ ტყავის გადამამუშავებელი ქარხნები.

რა უშლიდა ხელს მრეწველობის ამ დარგების მუშაობას?

უმთავრესად საწარმოთა ხელმძღვანელობის სისუსტე, არასაკმაო ყურადღება ისეთი საკითხებისადმი, როგორიცაა შრომის დისციპლინის განმტკიცება, მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების ზრდის წახალისება, სოციალისტური შრომის ახალი მეთოდების გავრცელება. მსუბუქი მრეწველობის საწარმოები ნაკლებად იბრძვიან საფაბრიკო მარკის ღირსებისათვის. ოღონდ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულონ და არაფრად სთვლიან არც ასორტიმენტს, არც პროდუქციის ხარისხს, არც მის თვით ღირებულებას. ეს, რასაკვირველია, ყველა საწარმოზე არ ითქმის. მსუბუქი მრეწველობის სისტემაში არიან მოწინავე საწარმოებიც, რომლებიც წარმატებით ასრულებენ დავალებებს. ასეთი საწარმოებია, მაგალითად, თბილისის ტყავის პირველი ქარხანა, პლასტიკური რეზინის ქარხანა და სხვ., მაგრამ მათ გვერდით არიან საწარმოები, რომლებიც სუსტად, არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ.

სამკერვალო ფაბრიკების მუშაობას დიდად შეუშალა ხელი სასარჩულე ქსოვილებისა და სხვა დამხმარე მასალების დროულად მიუღებლობამ. მომარაგების საქმე საერთოდ ვერ არის მოწესრიგებული. აბრეშუმის ქსოვილები, მაგალითად, თბილისის პირველმა სამკერვალო ფაბრიკამ დიდძალი რაოდენობით მიიღო, ხოლო ბათუმის სამკერვალო ფაბრიკას სრულებითაც არ მიუღია. ამან გამოიწვია ასორტიმენტის დარღვევა ორივე ფაბრიკაში. ზოგ ფაბრიკაში შალის ქსოვილებიდან სულ ქალის ქვედა კაბები ჰკერეს, ხოლო მამაკაცის შარვლის შეკერვა არც გახსენებიათ. სხვა ფაბრიკაში შალის ქსოვილებიდან გიმნასტურებს ჰკერეს და შარვალი აქაც დაავიწყდათ. ასეთი უყურადღებობა ასორტიმენტის საკითხისადმი დანაშაულს უდრის.

მსუბუქი მრეწველობის მრავალ საწარმოში ნაკლებად ზრუნავენ მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ახალი კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად. ამას ისიც მოწმობს, რომ მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა უზრუნველყოფა მუშახელით 97 პროცენტს უდრის, ხოლო გეგმის შესრულება (1946 წლის პირველი ნახევრისა) 89,7 პროცენტს. მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ზრუნვის დავიწყების შედეგია ისიც, რომ ხშირად პროდუქციის ხარისხი დამაკმაყოფილებელი არ არის.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკის ხელმძღვანელობა. 1, 2 და 3 ივნისს ფაბრიკა გამცდარი იყო, არ მუშაობდა, თითქოს იმ მიზეზით, რომ არ ჰქონდა მასალები. თბილისიდან იქ ჩასულმა მუშაკებმა შეამოწმეს ფაბრიკის საწყობები და აღმოაჩინეს, რომ ყველა მასალა, რომლის „უქონლობის" გამო ფაბრიკა სამ დღის იდგა, საწყობებში საკმაოზე მეტი რაოდენობით იყო შენახული. არც დირექტორი და არც სხვა ვინმე ფაბრიკის ხელმძღვანელ მუშაკთაგანი არ დაინტერესებულა, რომ გაეგოთ რა ჰქონდათ საწყობში და რა არა. ასეთი უთაურობის შედეგად ფაბრიკის ხელმძღვანელებმა სახელმწიფოს მრავალი ათასი მანეთის ზარალი მიაყენეს.

ყოველივე ეს გამოირკვა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მიერ ახლახან თბილისში მოწვეულ რესპუბლიკურ თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა დირექტორები, ტექნიკური ხელმძღვანელები, მოწინავე სტახანოველები და ინჟინერ-ტექნიკოსები. 1946 წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგებისა და მომავალი ამოცანების შესახებ თათბირზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ამხ. გ. რობაქიძე. კამათში მოხსენების გამო მონაწილეობა მიიღო 18-მა ამხანაგმა. საწარმოთა ხელმძღვანელების გამოსვლებში მოსჩანდა ერთგვარი თვითკმაყოფილება, დამშვიდება, თუმცა ასეთი განწყობილებისათვის არავითარი საფუძველი არ არის. რატომ?

იმიტომ, რომ ახალი ხუთწლედის მიხედვით საქართველოს მსუბუქმა მრეწველობამ ომამდელ დონეს უნდა მიაღწიოს უახლოეს ერთ-ორ წელიწადში, ხოლო ხუთწლედის ბოლოსთვის მან საერთო პროდუქცია 25 პროცენტით უნდა გაზარდოს. 1946 წლის პირველ ნახევარში წინა წლის შესაფერის პერიოდთან შედარებით მსუბუქი მრეწველობის ზრდის ტემპი უდრის 4 პროცენტს. ამასთან საქართველოს მსუბუქი მრეწველობა ამჟამად გვაძლევს 50 პროცენტზე ცოტა მეტს იმასთან შედარებით, რასაც გვაძლევდა სამამულო ომამდე. მაშასადამე, ცხადია, რომ თუ მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა უკეთესად არ იმუშავეს, არ გაზარდეს ზრდის ტემპი, ომამდელ დონეს ისინი ორ ახალ ხუთწლედშიც ვერ მიაღწევენ.

სწორედ ამიტომ მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელებმა, ადგილობრივმა პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა გარდაჰქმნან მუშაობა და წლის მეორე ნახევარში მიაღწიონ გეგმის გადაჭარბებით შესრულებას. ამისთვის საჭიროა გავაძლიეროთ ზრუნვა მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებლად, რათა ავკვეთოთ მუშახელის დენადობა, განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა, უკეთესი პირობები შევქმნათ მუშათა ტექნიკური სწავლებისათვის. საწარმოთა ხელმძღვანელებმა მეტი უნდა იზრუნონ გრაფიკის, ტექნოლოგიური რეჟიმის დასაცავად, გააუმჯობესონ მუშაობა მომარაგების დარგში, ყველა პირობა შეუქმნან მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს მაღალნაყოფიერი სტახანოვური შრომისათვის.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში 1946 წლის საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდება მსუბუქი მრეწველობის ყველა მუშაკის სახელისა და ღირსების საქმეა.

მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე სიტყვები წარმოსთქვეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ს. იმხანოვმა და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ამხ. შამინკოვმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილემ მსუბუქი მრეწველობის დარგში ამხ. კ. ბარიგიანმა და საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის მოადგილემ მსუბუქი მრეწველობის დარგში ამხ. გ. ცქიტიშვილმა.

თათბირმა დასახა ღონისძიებები მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მუშაობის გასაუმჯობესებლად.

მომავალი ქართველი მეტალურგები ტაგანროგში

თბილისის მეტალურგიულმა ტექნიკუმმა ამ რამდენიმე ხნის წინათ ქალაქ ტაგანროგის მეტალურგიულ ქარხანაში პრაქტიკის მისაღებად გაგზავნა მოწაფეთა ჯგუფი.

მომავალ ქართველ მეტალურგებს ტაგანროგელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს, რომელზეც მოხსენებით პრაქტიკანტების ამოცანების შესახებ გამოვიდა მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ამხ. პოპოვი. სიტყვებით გამოვიდნენ სტახანოველი მეფოლადეები თევზაძე, კორძაია, კიკაბიძე, მემანქანეები: კაცაძე, მოლომნიშვილი, მოწინავე კალატოზები ჩაჩავა, გაბუნია, კუჭუხიძე და სხვები. გამოსულმა ამხანაგებმა პრაქტიკანტებს გააცნეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება. დასასრულ გაიმართა კონცერტი.

სამტრედიის საწარმოები 1946 წლის პირველ ნახევარში

მეორთქლმავლეთა წარმატება

სამტრედიის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა ივნისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და ამიერკავკასიის რკინიგზაზე მეორე ადგილი დაიკავა.

1946 წლის პირველ ნახევარში ორთქლმავალთა ტექნიკური სისწრაფე გადიდებულია 1,8 კილომეტრით, საშუალო შეკეთებიდან გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 1 ორთქლმავალი, აწევითი შეკეთებიდან—2, ხოლო გარეცხვითი შეკეთებიდან—8 ორთქლმავალი. მეორთქლმავლეებმა 51,8 პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება.

422.600 ქილა კონსერვი

სამტრედიის საკონსერვო კომბინატმა (დირექტორი ფ. მხეიძე, პარტბიუროს მდივანი ი. კოხრეიძე) 1946 წლის სეზონი მომზადებულად დაიწყო და ნახევარი წლის დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა. გამოშვებულია 422.600 ქილა კონსერვი, რაც გეგმის 119 პროცენტს შეადგენს. ასორტიმენტის მიხედვით ალუბლისა და ბალის მურაბის გამოშვების გეგმა შესრულებულია 132,3 პროცენტით, ტყემლის კომპოტისა — 302 პროცენტით. გადაჭარბებითაა შესრულებული ჯემის დამზადების გეგმაც.

საქართველოს მეტალურგიის წარსული და მომავალი

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ლითონი წარმოადგენს ჩვენი სოციალისტური მრეწველობის საფუძველთა საფუძველს. ლითონს მეტალურგია გვაძლევს, ხოლო მეტალურგიის განვითარებას ახლა ყველა ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მეტალურგთა გულისყური ამჟამად მიპყრობილია ხარისხოვანი ლითონების მიღების საშუალებათა გაადვილებისა და ამ ლითონების სიმაგრის გადიდებისაკენ. ხარისხოვანი მეტალურგიის ტექნოლოგია ძირითადად დამყარებულია მალეგირებული ელემენტების სხვადასხვა კომბინაციის შერჩევაზე. უმთავრესად ამ საკითხებზე მუშაობენ ამჟამად საქართველოს მეტალურგებიც.

სანამ საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის აწმყოსა და მომავალზე შევჩერდებოდეთ, ზედმეტი არ იქნება ორიოდე სიტყვით გავიხსენოთ მეტალურგიის განვითარების ის ბრწყინვალე ფურცლები, რომლებიც ჩვენმა წინაპრებმა ჩასწერეს ისტორიაში. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ ზოგი თანამედროვე მეცნიერი, რომელიც სპეციალობის ვიწრო კალაპოტში მოქცეულა, ფიქრობს, რომ მეტალურგიას ჩვენში არავითარი ტრადიცია არა აქვს, რომ, თითქოს, ქართველი ხალხი მეტალურგიას არასოდეს არ იცნობდა.

ისტორიკოსებს მრავალი უტყუარი საბუთი მოეპოვებათ იმისა, რომ ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში როგორც სამხრეთ საქართველოში, ისე ჩრდილოეთ საქართველოშიც არსებობდნენ მეტალურგიის მძლავრი კერები. ხალიბები — ქართველთა შორეული წინაპრები, ცნობილნი იყვნენ მთელ მსოფლიოში რკინის დამზადების მაღალი ტექნიკით. არსებობს აზრი, რომ ხალიბები იყვნენ არა მარტო რკინის მწარმოებელნი, არამედ მისი პირველი აღმომჩენნიც. აპოლონ როდოსელი (250-200 წლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე) აღნიშნავს, რომ ხალიბების ხელობა იყო რკინის გამოდნობა, რაზედაც ისინი გათენებიდან დაღამებამდე მუშაობდნენ, რომ ხალიბები „შავ ბოლსა და ჭვარტლში ასრულებენ თავიანთ მძიმე შრომას". ხალიბების უმეტესობის ცხოვრების ძირითად წყაროს, — აღნიშნავს ქსენოფონტე, — რკინის მადნეულის დამუშავება შეადგენდა. არის იმის დამადასტურებელი მრავალი ცნობა, რომ საქართველოში დამზადებული მაღალხარისხოვანი რკინის საგნები ვრცელდებოდა არა მარტო კავკასიაში, არამედ ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებშიც. სხვათაშორის, ენათმეცნიერები ამტკიცებენ, რომ ევროპულ ენებში მიღებული ლითონთა მთელი რიგი სახელები ქართულიდან არის ნაწარმოები.

ძველი ტაო-კლარჯეთი, სვანეთი, აფხაზეთი, რაჭა, ზემო იმერეთი, ბორჩალო-ალავერდის რაიონი ის ადგილები იყო, სადაც ქართველები ლითონს აღნობდნენ. ამ ადგილებში ახლაც მრავლად არის შემონახული მადნეულის გამოსავლები, გვირაბები, ლითონის დნობის შედეგად მიღებული წიდის უზარმაზარი გორები. არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი სუფთა ლითონებისა და შენადნობებისაგან დამზადებული შესანიშნავი ნივთები — უტყუარი საბუთებია ძველი საქართველოს მაღალი მეტალურგიული კულტურისა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სუფთა რკინა ძლიერ რბილია, მაგრამ თუ მას მცირე რაოდენობით ნახშირბადს (გრაფიტს) შევურევთ, მივიღებთ განსაკუთრებული თვისების შენადნობს, რომელსაც ფოლადს ვუწოდებთ. ეს შენადნობი გარკვეულ ტემპერატურამდე გახურებული და შემდეგ ერთბაშად გაცივებული (ნაწრთობი), არაჩვეულებრივად მაგარია.

რკინის სიმაგრის გადიდება შეიძლება არა მარტო ნახშირბადით, არამედ ნიკელით, ქრომით, მოლიბდენით, მანგანუმით და სხვა შენარევებით. ასეთ ნივთიერებებს მალეგირებული ელემენტები ეწოდება. მათი მიმატებით რკინას ეძლევა ცეცხლგამძლეობის, დაუჟანგველობის, ელასტიკურობის თვისებები. მალეგირებელ ელემენტთაგან საქართველოში მანგანუმის უმდიდრესი საბადოა (ჭიათურა).

უნდა აღინიშნოს, რომ არქეოლოგიური გათხრებისას საქართველოში აღმოჩენილია ლეგირებული ლითონებისაგან დამზადებული იარაღი და სხვა ნივთები. საქართველოს მეტალურგიული კულტურის მაღალ დონეს წინათ მოწმობს ისიც, რომ თავისი სიმაგრით განთქმული იყო ქართველების მიერ ნაჭედი ხმალი, შუბი და ფარი. უთუოდ ეს გახდა იმის საბაბი, რომ აღა-მაჰმადხანმა საგულდაგულოდ გაგზავნა რაზმი ახტალის მაღაროსა და იქ არსებული მეტალურგიული საწარმოს ასაკლებად. ამ რაზმმა, როგორც ისტორიიდან არის ცნობილი, 700 კაცი ადგილობრივ დახოცა, ხოლო 836 ტყვედ მოჰგვარა აღა-მაჰმადხანს.

ყოველივე ამის შემდეგ არადამაჯერებლად და უფრო ცუდადაც გაისმის ზოგიერთ „განათლებულთა" ხმა იმის შესახებ, რომ საქართველოში მეტალურგიის განვითარების ტრადიცია არ არსებობსო.

აღსანიშნავია, რომ რკინის წრთობის ტექნიკას ჩვენი ძველი წინაპრები კარგად იცნობდნენ და ამ ხელობას თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადასცემდნენ. მრავალმა ასეთმა კარგმა ხელოსანმა ჩვენს დრომდეც მოაღწია.

მართალია, მრავალმა ათეულმა და ასეულმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც საქართველოს მეტალურგიულმა კერებმა სუნთქვა შეწყვიტეს. საქართველოს საუკეთესო შვილები მუდამ ოცნებობდნენ ჩვენი მეტალურგიის აღდგენაზე. ერეკლე მეორემ, ამ დაუცხრომელი ენერგიის ადამიანმა განაახლა ჩათახში რკინის მადნისა და ახტალაში სპილენძის, ვერცხლისა და ოქროს გამოდნობა. დასავლეთ საქართველოში მეტალურგიის აღსადგენად ბევრს იღვწოდა იმერეთის მეფე სოლომონ მეორე. რუსეთში გაგზავნილ თავის ელჩს დავით კვინიხიძეს მან დაავალა საქართველოში რუსეთის ჯართან ერთად სამთამადნო საქმის მცოდნე სპეციალისტთა გამოგზავნაც ეშუამდგომლნა.

მეფის თვითმპყრობელური რეჟიმის დროს საქართველოს მეტალურგიის განვითარებისათვის არავის ეცალა.

საქართველოში მეტალურგიული მრეწველობის აღდგენა დაკავშირებულია დიდი სტალინის სახელთან, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მრავალი წლის მოღვაწეობასთან. მეტალურგიული მრეწველობის აღორძინება ჩვენში დაიწყო საქართველოს მინერალური ნედლეულის ყოველმხრივი შესწავლით, რომლის შედეგადაც აგებულ იქნა ჩვენი მეტალურგიული მრეწველობის პირველი სიამაყე—ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. შემდეგ ყურადღება გამახვილებულ იქნა ქვანახშირის მრეწველობის განვითარებაზე. უქვანახშიროდ მეტალურგია შეუძლებელია, და სწორედ ამით აიხსნება ის განსაკუთრებული ყურადღება და დახმარება, რომელსაც ტყიბულელ და ტყვარჩელელ მეშახტეებს უწევენ პარტია და ხელისუფლება.

ახლა რუსთავში შენდება სრული ციკლის მძლავრი მეტალურგიული ქარხანა. ეს მშენებლობა რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების ყურადღების ცენტრში სდგას. მშენებლობასთან ერთად წარმატებით მიმდინარეობს კადრების მომზადება. 5 ათასამდე ახალგაზრდა ქართველი მეტალურგი მოელის ამ ქარხნის ამუშავებას, იქ ჩამოსვლას და ლითონის დნობის გაჩაღებას.

მეტალურგიისა და სამთამადნო საქმის განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლოს მომავლისათვის. იმისათვის, რომ ამ საქმეს ნამდვილი თანამედროვე მეცნიერული საფუძველი ექნეს, ხელმძღვანელი ორგანოების ინიციატივით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ჩამოყალიბდა ლითონისა და სამთო საქმის საკვლევი ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტმა უკვე დასახა თავისი ამოცანები უახლოესი ხუთი წლისათვის.

ინსტიტუტის კოლექტივის მთავარი მიზანია ამ ხუთწლედში შევისწავლოთ და გადავწყვიტოთ თანამედროვე მეტალურგიის განვითარებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა. 5 წლის მანძილზე ინსტიტუტი დაამუშავებს 13 საკითხს. თვითეულ საკითხს სპეციალისტთა ცალკე ჯგუფი სწავლობს და იკვლევს.

მკვლევართა ერთი ჯგუფი, რომელსაც ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ხეჩია ხელმძღვანელობს, შეისწავლის დაშქესანის საბადოს რკინის მადნის აღდგენის საკითხს. დაშქესანი უნდა გახდეს იმ ბაზად, საიდანაც რუსთავის მეტალურგიული ქარხანა მიიღებს თუჯის გამოსადნობად საჭირო რკინის მადანს.

აქტუალურია მეტალურგიაში სილიციუმის შენადნობების ელექტროთერმული წესით მიღების ტექნოლოგიის საკითხი. ამ საკითხს შეისწავლის და დაამუშავებს მეცნიერთა ჯგუფი, რომელსაც ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. მიქელაძე ხელმძღვანელობს.

საინტერესო პრობლემას წარმოადგენს მაღალლეგირებული თუჯის მიღების ტექნოლოგიის მთელ რიგ საკითხთა გარკვევა. ამ საქმეზე იმუშავებს მკვლევართა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. გედევანიშვილი.

შამოტისა და დინასის, როგორც ცეცხლგამძლე მასალის დამზადება ადგილობრივი ნედლეულისაგან უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საკითხია. ამ საკითხს და აგრეთვე მეტალურგიული ქარხნის წიდებისა და ნაცრის შესწავლას სილიკატური წარმოებისათვის მათი გამოყენების მიზნით, შეუდგება მეცნიერთა ჯგუფი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის კ. ქუთათელაძის ხელმძღვანელობით.

სხვა საკითხთაგან, რომლებიც ინსტიტუტმა მეოთხე სტალინურ ხუთწლედში უნდა შეისწავლოს და გამოიკვლიოს, აღსანიშნავია მანგანუმის ახალი შენადნობების მიღება. საქართველოს ქვანახშირის სხვადასხვა საბადოებისაგან მიღებული ნახშირების დაკოქსვის შესწავლა, არქეოლოგიური გათხრებისა და ნაპოვნი ლითონების მეტალოგრაფიული შესწავლა (ამ საქმეში მეტალურგ-მეცნიერთა ჯგუფს კონსულტაციას გაუწევს აკადემიკოსი ს. ჯანაშია), საქართველოს დოლომიტებიდან ლითონ-მანგანუმის მიღება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი გ. წულუკიძე და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატები რ. ჯიქია, კ. ბარამიძე და ა. ძიძიგური იმუშავებენ საქართველოს ქვანახშირისა და მანგანუმის საბადოების გახსნისა და დამუშავების უფრო რაციონალური მეთოდების გამონახვისა და ნავთის საბადოების გვირაბებით დამუშავების მექანიზაციის საკითხებზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებულია ახალ ხუთწლედში ლითონისა და სამთო საქმის საკვლევი ინსტიტუტისათვის ახალი შენობისა და ნახევრადსაქარხნო დანადგართა სპეციალური კორპუსის აგება. პირომეტალურგიის, ჰიდრომეტალურგიის, ელექტრომეტალურგიის, სამთამადნო საქმის, კოქსქიმიის, ანალიტიკური ქიმიისა და ქიმიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორიების გარდა ინსტიტუტთან მოეწყობა უახლესი ტექნიკით აღჭურვილი რენტგენოგრაფიის, მიკროსკოპიის, ე. წ. განუწყვეტელი ფოტოგრაფიის, თერმული ანალიზის, პირომეტრიის, გალვანო-ტექნიკის, მაღალი სიხშირის დენების, მადნეულის დამუშავებისა და გამდიდრების საკვლევი ლაბორატორიები და კაბინეტები, აგრეთვე ზუსტ ხელსაწყოთა სარემონტო სახელოსნოები.

ეჭვი არ არის, საქართველოს მეტალურგ-მეცნიერთა კადრები წარმატებით გადასჭრიან ხუთწლიანი გეგმით მათ წინაშე დასახულ ფრიად მნიშვნელოვან საკითხებს და ამით ახალ წვლილს შეიტანენ მეტალურგიის შემდგომი განვითარების საქმეში.

რ. აგლაძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის დირექტორი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

ჩინეთის დემოკრატიული ლიგის პრეს-კონფერენციები

შანხაი, 16 ივლისი. (საქტესი). გუშინ ჩინეთის დემოკრატიული ლიგის ხელმძღვანელებმა ჯან ბო-ძიუნმა, შენ ჯუნ-ჟუმ, ლო ლუნ-ძიმ, ჯან შუნ-ფუმ, ხუან იან-ბეიმ მოიწვიეს ორი პრეს-კონფერენცია. პრეს-კონფერენციებზე გამოქვეყნდა ლიგის დეკლარაცია იმ მოლაპარაკების ჩაშლასთან დაკავშირებით, რომელიც გომინდანისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებს შორის სწარმოებდა, და ამის გამო ჩინეთში შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

დეკლარაციაში ნათქვამია: „ჩვენ, ჩინეთის დემოკრატიული ლიგის წევრები, ისევე როგორც მთელი ჩინელი ხალხი, არასოდეს არ ვუბიძგებდით ჩინეთს დანაშაულებრივი ეროვნული თვითმკვლელობისაკენ. ჩვენ მივისწრაფვით მშვიდობისაკენ და ვიბრძვით ეროვნული ერთობისათვის. ჩვენ გვსურს გვყავდეს პატიოსანი დემოკრატიული მთავრობა, რომელიც იზრუნებს ომით დანგრეული მეურნეობის აღდგენისათვის, ქვეყნის რეკონსტრუქციისა და ხალხის კეთილდღეობისათვის.

პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს გადაწყვეტილებები რომ შესრულებულიყო, ჩინეთი შესძლებდა თავიდან აეცილებინა ახლანდელი კრიზისი, შესძლებდა ქვეყნის აღდგენისა და რეკონსტრუქციის დაწყებას, და ჩვენი ქვეყანა მშვიდობიან გზაზე გადავიდოდა. სამწუხაროდ, მთავრობამ უარჰყო ჩინეთის დემოკრატიული ლიგის ყველა წინადადება იმ საკითხების მშვიდობიანად გადაჭრის შესახებ, რომლებიც მანჯურიასა და ჩინეთს ეხება.

მშვიდობისათვის ბრძოლა უნდა გაგრძელდეს, უნდა გამოინახოს გზები და მეთოდები შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. ჩიხიდან გამოსვლის საუკეთესო საშუალებაა სამხედრო და პოლიტიკური საკითხების ერთდროულად განხილვა. მხოლოდ დემოკრატიზაციის გზით შესძლებს ჩინეთი უბედურების თავიდან აცილებას.

დემოკრატები მოითხოვენ კოალიციური მთავრობის შექმნას ყველა პარტიის მონაწილეობით, აგრეთვე ეროვნული კრების შემადგენლობაში ყველა პარტიის წარმომადგენლების შეყვანას. ეროვნული კრება მონოპოლიზებული არ უნდა იყოს ერთი პარტიის მიერ. კონსტიტუცია, რომლის მიღებასაც გომინდანი ეროვნულ კრებაზე აპირებს, დემოკრატიული კონსტიტუცია უნდა იყოს და არა მხოლოდ ერთი პარტიისათვის ხელსაყრელი“.

უპასუხა რა უცხოელი კორესპონდენტების შეკითხვებზე, ლო ლუნ-ძიმ განაცხადა, რომ მოლაპარაკების ჩაშლის ძირითადი მიზეზია მთავრობის უარი ერთდროულად განეხილა სამხედრო და პოლიტიკური საკითხები. ჩინეთის კომუნისტური პარტია თანახმაა განიხილოს პოლიტიკური და სამხედრო პრობლემები პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს სესიაზე. მაგრამ მთავრობას არ სურს ამ საბჭოს მუშაობის განახლება.

ლო ლუნ-ძის აზრით, ჩინეთის ბედს არა მარტო სამთა კომიტეტი, არამედ სხვა პარტიების წარმომადგენლებიც უნდა სწყვეტდნენ. ლო ლუნ-ძიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეროვნული კრება უნდა მოიწვიოს კოალიციურმა და არა ერთპარტიულმა მთავრობამ. ამჟამად მთავრობამ უნდა უზრუნველჰყოს პოლიტიკური გარანტიები და მშვიდობა. თუ ჩინეთის დემოკრატიული ლიგის მოთხოვნები სამოქალაქო ომის შეწყვეტისა და დემოკრატიის დამყარების შესახებ არ შესრულდა, ჩინეთის დემოკრატიული ლიგა ჩინელ ხალხს და მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს მიმართავს მოწოდებით —დაეხმარონ და ხელი შეუწყონ ჩინელ დემოკრატებს.

ეროვნული ხსნის ასოციაციის ლიდერმა და ჩინეთის დემოკრატიული ლიგის კომიტეტის წევრმა შენ ჯუნ-ჟუმ, ილაპარაკა რა ლი გუნ-ბოს მოკვლის შესახებ, განაცხადა, რომ ამ დემოკრატი მოღვაწის მოკვლა წარმოადგენს რეაქციის პოლიტიკურ დანაშაულს ჩინეთის დემოკრატიის წინააღმდეგ. შენ ჯუნ-ჟუმ ამასთან მოაგონა გაზეთების ორი რედაქტორის მოკვლა სიანში მიმდინარე წლის აპრილში, თავდასხმები მიტინგზე ჩუნცინში და სამშვიდობო დელეგაციაზე ჩინეთის დედაქალაქ ნანკინში. „ჩვენ ვწუხვართ, — განაცხადა მან, —რომ ლი გუნ-ბოს ტიპის დემოკრატებს არ შეუძლიათ იცხოვრონ ჩან კაი-შის ჩინეთში“.

მასობრივი პროტესტები ამერიკის შეერთებულ შტატებში ფასების გადიდების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. (საქტესი). როგორც გაზეთები იუწყებიან დღეს დეტროიტში გაიმართა 80-ათასიანი საპროტესტო მიტინგი ინფლაციის წინააღმდეგ. მიტინგი მოაწყო საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში შემავალმა საავტომობილო მრეწველობის მუშათა პროფკავშირმა. მიტინგს დაესწრნენ აგრეთვე ამერიკის შრომის ფედერაციაში შემავალი პროფკავშირების, ქალთა ორგანიზაციების, რელიგიური საზოგადოებების, ომის ვეტერანთა ჯგუფების და სხვათა წევრები. მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ფასებზე კონტროლის გაუქმება „ნაციონალურ უბედურებას“ წარმოადგენს. საავტომობილო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარემ რეიტერმა დამსწრეთ მოუწოდა მიმართონ ტრუმენს მოთხოვნით ვეტო დაადოს იმ კანონპროექტს ფასებზე კონტროლის შესახებ, რომელსაც ამჟამად კონგრესი ამზადებს და რომელიც სავსებით აქარწყლებს ფასებზე კონტროლს.

მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა საავტომობილო მრეწველობის მუშათა პროფკავშირთან არსებული პოლიტიკური მოქმედების კომიტეტის განყოფილების ხელმძღვანელმა ლეონარდმა, რომელმაც მოუწოდა დამსწრეთ ჩაატარონ მყიდველთა 30-დღიანი გაფიცვა და მოითხოვა განახლდეს მოლაპარაკება ხელფასის გადიდების შესახებ.

რვა ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა კლივლენდში გამართულ საპროტესტო დემონსტრაციაში. საავტომობილო მრეწველობის 40 ათასმა მუშამ შეწყვიტა მუშაობა.

საავტომობილო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ვიცე-თავმჯდომარემ ტომასმა, რომელიც ტოლედოში 5-ათასიან მიტინგზე გამოვიდა, განაცხადა რომ სენატორი ტაფტი (რესპუბლიკელი, ოჰაიოს შტატიდან) ერთ-ერთი ხელმძღვანელია იმ შეთქმულებისა, რაც მიმართულია იქითკენ, რომ მოუსპონ ხალხს დემოკრატიული უფლებანი, ხოლო მრეწველთა ნაციონალური ასოციაცია ამ შეთქმულების კულისებში დგას, რათა „ოცდახუთი მილიარდი დოლარი წაართვას ხალხს“.

ანალოგიური მიტინგები ჩაატარეს საავტომობილო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის წარმომადგენლებმა ჩიკაგოსა და დეიტონში. საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის წარმომადგენლებმა ფილადელფიაში რამდენიმე ათასი ხელმოწერა შეაგროვეს იმ პეტიციებისათვის, რომლებიც მოითხოვენ ფასებზე კონტროლის განახლებას.

გაზეთი „დეილი უორკერი“ იუწყება, რომ პირველი საპროტესტო გაფიცვა ბინის ქირის გადიდების წინააღმდეგ დაიწყო 16 ივლისს ფილადელფიაში 200 ბინის დამქირავებლის ხელმძღვანელობით, რომლებმაც უარი სთქვეს გადაიხადონ 40-80 პროცენტით გადიდებული ბინის ქირა. ჩიკაგოში ამერიკელ ბინისდამქირავებელთა ლიგამ პროფესორ კერის მეთაურობით მოაწყო კამპანია იმ დამქირავებელთა გასახლების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც უარს ამბობენ გადიდებული ბინის ქირის გადახდაზე.

ამერიკის პრესა ფასების კონტროლის კანონპროექტის შესახებ ტრუმენის განცხადების გამო

ნიუ-იორკი, 16 ივლისი. (საქტესი). პრესის მიერ ვაშინგტონიდან მიღებული ცნობებით, 14 ივლისს ტრუმენმა სენატორ ვანდენბერგს განუცხადა, რომ სენატის მიერ მოწონებული ფასების კონტროლის კანონპროექტი უარესია ყველა შესაძლებელ კანონპროექტთა შორის. გაზეთებს „ნიუ-იორკ ტაიმსს“, „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნსა“ და სხვებს ეს შენიშვნა იმის დამამოწმებელ გარემოებად მიაჩნიათ, რომ ტრუმენს განზრახული აქვს ვეტო დაადოს სენატის მიერ მოწონებულ კანონპროექტს, თუ ეს კანონპროექტი გადაეცემა თეთრ სახლს.

როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, კონგრესის დემოკრატი და რესპუბლიკელი ლიდერები აცხადებენ: თუ ტრუმენმა კვლავ დადო ვეტო ფასების კონტროლის კანონპროექტს, კონგრესი დათხოვნილ იქნება საარდადეგოდ ისე, რომ ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს ფასების კონტროლის საკითხზე. კონგრესი დასჯერდება რეზოლუციას, რომელიც ითვალისწინებს ბინის ქირის კონტროლის განგრძობას. ამრიგად, ამერიკის შეერთებულ შტატებში არ იქნება არავითარი კონტროლი ფასებზე, რის გამოც პირველი საჭიროების საგნების ფასები მომავალ თვეებში განუწყვეტლივ მოიმატებს. გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა იკესმა მკვეთრად დაჰგმო ტრუმენის მთავრობა და რესპუბლიკური პარტია იმისათვის, რომ ისინი პარტიულ ბრძოლაში ბურთივით იყენებენ დავას ფასების კონტროლის საკითხის გამო.

იკესმა განაცხადა: თუმცა ტრუმენმა მკვეთრად გააკრიტიკა სენატორ ტაფტის წინადადებანი და ამტკიცებდა, რომ ეს წინადადებანი არაეფექტიანს გახდიან ფასების კონტროლს, მაგრამ კანონპროექტი, რომელსაც ტრუმენი იცავს, იგივე შედეგს მოიტანს. იკესმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფასების მომატება დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა გასული არ იყო ფასების კონტროლის წინანდელი კანონის მოქმედება, და განაცხადა: „უმჯობესი იქნებოდა გვეთქვა, რომ ჩვენი ქვეყანა უკვე იტანჯება ინფლაციით, რაც შეუძლიათ დააჩქარონ ტაფტის მიერ შეტანილმა შესწორებებმა. დღითი დღე სულ უფრო ცხადი ხდება, რომ საქმის მთელი გარეგნული მხარე — კამათი კონგრესში, პრეზიდენტის ვეტო და ფასების კონტროლის კანონპროექტის გადასინჯვა — პოლიტიკური მანევრია, რომლის მიზანია მიღწეულ იქნას, რომ საზოგადოებრიობამ მხარი დაუჭიროს ტრუმენს და სახელი გაუტეხოს რესპუბლიკელებს“.

საპროტესტო კამპანია ფასების გადიდების წინააღმდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 15 ივლისი. (საქტესი). ამერიკის შეერთებული შტატების პროფკავშირული და სხვა მასობრივ ორგანიზაციებს განზრახული აქვთ დემონსტრაციები მოაწყონ ფასების ზრდის წინააღმდეგ, რაც კვლავ გრძელდება. საავტომობილო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარემ რეიტერმა განაცხადა, რომ პროფკავშირის 800 ათასი წევრი სამუშაოს მიატოვებს, რათა დეტროიტში, ჩიკაგოში, კლივლენდსა და სხვა ქალაქებში მონაწილეობა მიიღოს მასობრივ მიტინგებში ფასების გადიდების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ხორცის საბითუმო ფასებმა მიაღწია ყველაზე მაღალ დონეს, რომელიც კი ოდესმე ყოფილა ჩიკაგოში, ომახასა და ხორცის სხვა ძირითად ცენტრებში.

13 ივლისს შრომის სამინისტრომ განაცხადა, რომ ფასებზე კონტროლის გაუქმების დროიდან 30 ივნისს ძირითადი საქონლის ინდექსი 22,7 პროცენტით გადიდდა.

„მყიდველთა გაფიცვები“ ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 15 ივლისი. (საქტესი). ნიუ-იორკის რადიო გადმოგვცემს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაძვირებული საქონლის ბოიკოტმა უდიდესი მასშტაბი მიიღო. „მყიდველთა გაფიცვები“ სტიქიურად ეწყობა შეერთებული შტატების სხვადასხვა ნაწილში. ბოიკოტი სულ სხვადასხვაგვარ ფორმას იღებს. ზოგი პირდაპირ ხელს იღებს გაძვირებული საქონლის ყიდვაზე, სხვები თავიანთ მეგობრებს ურჩევენ მიბაძონ მათს მაგალითს, ზოგიერთნი თავიანთ პროფკავშირებს მიმართავენ ბრძოლის მოწყობის წინადადებით. ბოიკოტში მონაწილეობას იღებენ ამერიკელთა სხვადასხვა გაერთიანებანი,, დაწყებული პროფკავშირული ორგანიზაციებით და დამთავრებული პოლიტიკური კლუბებით.

12 ივლისს ომის ვეტერანთა ჯგუფი პატრულობდა ნიუ-იორკის ერთ-ერთ ხალხით სავსე ქუჩაში და გამვლელებს მოუწოდებდა არ ეყიდნათ საქონელი გადიდებულ ფასებში. პენსილვანიის შტატის ერთ-ერთ ქალაქში ბოიკოტის ორგანიზატორებმა შესძლეს მოეპოვებინათ პროფკავშირთა, ქალაქის მერისა და საქალაქო საბჭოს დეპუტატთა მხარდაჭერა.

ბირნსის გამოსვლა რადიოთი

ნიუ-იორკი, 16 ივლისი. (საქტესი). გუშინ საღამოს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ბირნსმა რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც მიეძღვნა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზში შემდგარი სესიის შედეგებს.

ბირნსმა განაცხადა, რომ ხელშეკრულებათა პროექტები, რომელთა შესახებ მიღწეულია შეთანხმება, „არ წარმოადგენენ საუკეთესო რამეს, რის მოცემაც ადამიანის გონებას შეეძლო. მაგრამ ეს საუკეთესო რამეა, რის შესახებაც კი ადამიანის გონებას შეეძლო უზრუნველეყო ოთხი ძირითადი მოკავშირის თანხმობა“. ბირნსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ამ საკითხებში წარმოადგენდა არა მარტო პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნის აზრებს, არამედ აგრეთვე სენატორების კონელისა და ვანდენბერგის მოსაზრებებს“.

შემდეგ ბირნსმა გაამართლა ამერიკის დელეგაციის პოზიცია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესიაზე და შენიშნა: „ვაღიარებ, აპრილში ჩვენს შეხვედრამდე ნაკლები იმედი მქონდა, რომ ოდესმე შეთანხმებას მივაღწევდით. აპრილის შეხვედრის შემდეგ ჩემმა იმედებმა კიდევ უფრო იკლო. ამჟამად პერსპექტივები ხუთ ქვეყანასთან საზავო ხელშეკრულებების მხრივ ნათელია. ამ ხელშეკრულებათა რატიფიკაციის შემდეგ ოთხმოცდაათი დღე რომ გავა, საოკუპაციო არმიები გამოყვანილ უნდა იქნან, გარდა იმ რაიონებისა, სადაც ისინი კომუნიკაციებს იცავენ“.

თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი ბირნსმა მიუძღვნა გერმანიის საკითხს.

ბირნსი იცავდა გერმანიის განიარაღებისა და დემილიტარიზაციის საკითხზე შეერთებული შტატების მიერ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ჯერ კიდევ მაისის სესიაზე წარდგენილ ხელშეკრულების პროექტს და გამოვიდა ამ პროექტის საბჭოთა შეფასების წინააღმდეგ. აღნიშნა რა, რომ საბჭოთა წარმომადგენლებმა წინადადება წამოაყენეს მოწვეულ იქნას საბჭოს სპეციალური სესია გერმანიის პრობლემის განსახილველად, ბირნსმა განაცხადა, რომ იგი დაეთანხმა ამ წინადადებას. ამავე დროს ბირნსი დაჟინებით მოითხოვდა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების სპეციალურმა მოადგილეებმა გაარკვიონ თანხმობისა და აზრთა სხვადასხვაობის სფერო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბირნსის აზრით, გერმანიის საკითხის მოწესრიგების რთულ პრობლემებზე მინისტრების მიერ ერთმანეთისათვის შეხედულებათა გაზიარება საკმარისი არ იქნება.

ბირნსმა ილაპარაკა ავსტრიის საკითხის განხილვის მიმდინარეობაზე და აღნიშნა ავსტრიაში მყოფ ადგილგადანაცვლებულ პირთა პრობლემის გადაჭრის სიძნელე.

სიამის საგარეო საქმეთა მინისტრის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი

ნიუ-იორკი, 16 ივლისი. (საქტესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ პრესაში გამოაქვეყნა სიამის საგარეო საქმეთა მინისტრის ქაიანანის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი. წერილი ოფიციალურად აცნობებს უშიშროების საბჭოს საფრანგეთისა და სიამის დავის გარემოებას, რაც საფრთხეს უქმნის მშვიდობის შენარჩუნებას ამ ორ ქვეყანას შორის. წერილის ტექსტში ნათქვამია, რომ საფრანგეთისა და სიამის ტერიტორიული დავა ჯერ კიდევ გადასაწყვეტია და დიდ შემფოთებას იწვევს. ამიტომ სიამის მთავრობამ გადასწყვიტა მიაქციოს ამ საკითხზე უშიშროების საბჭოს ყურადღება და მიმართავს ფორმალური თხოვნით საფრანგეთისა და სიამის დავა დასვას უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში“. წერილი სიამის საგარეო საქმეთა მინისტრ ქაიანანის მიერ ხელმოწერილია 11 ივლისს ბანგკოკში.

სიამის საქმეთა რწმუნებულმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ბხადკიმ ამავე დროს აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უახლოეს დღეებში ბანგკოკიდან ნიუ-იორკს გაემგზავრება სიამის დელეგაცია.

* * *

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 1 ივნისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბსადგომმა გამოაქვეყნა სიამის ხელისუფლების მემორანდუმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ფრანგებმა დაარღვიეს სიამის საზღვარი მდინარე მეკონგის გაყოლებით, რაც სიამს ჰყოფს ინდო-ჩინეთისაგან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს განცხადება

ნიუ-იორკი, 18 ივლისი. (საქტესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭოს სამანდატო კომისიამ გენერალური ასამბლეის სხდომის შესაძლო გადადებასთან დაკავშირებით შემდგომ კვირამდე გადასდო თავისი სხდომა, რომელიც თავდაპირველად 15 ივლისისათვის იყო დანიშნული. კომისია განიხილავს განცხადებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად ალბანეთის, მონღოლეთის, ავღანეთისა და ტრანსიორდანიის მიღების შესახებ. კომისია აგრეთვე განიხილავს სიამის დეკლარაციას, თუ სიამის მთავრობა უახლოესი რამდენიმე დღის განმავლობაში ოფიციალურად დაადასტურებს, რომ განზრახვა აქვს შევიდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

წინასაარჩევნო ტერორი თურქეთში

სტამბოლი, 17 ივლისი. (საქტესი). როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, მეჯლისის არჩევნების დღის მოახლოებასთან დაკავშირებით თურქეთის ბევრ რაიონში მატულობს ტერორისტული აქტების და პირდაპირი ძალადობისა და ზემოქმედების შემთხვევები, რასაც პოლიციის ორგანოები და სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წევრები მიმართავენ.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ ბევრ ქალაქსა და სოფელში ამ პარტიის მოწინააღმდეგეებს უკანონოდ აპატიმრებენ. აღნიშნულია ახლანდელი მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილი პირების მოკვლის შემთხვევები. მაგალითად, გაზეთ „ენი საბახის“ ცნობით, კარშიაკის რაიონში (იზმირის ახლოს) დანის დარტყმით მოჰკლეს ოპოზიციური მოღვაწე. გაზეთის აზრით სერიოზული საფუძველი არსებობს იმის საფიქრებლად, რომ მკვლელი სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას ეკუთვნის.

გაზეთ „ისტანბულის“ ცნობით, ქალაქ ჩატალჯაში (სტამბოლის დასავლეთით) თოფით მძიმედ დასჭრეს დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი. დასჭრეს აგრეთვე ორი მისი ამხანაგი. თავდამსხმელი სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წევრი აღმოჩნდა. ასეთი შემთხვევები სხვა ადგილებშიც არის. არჩევნების წინ ასეთ ვითარებასთან დაკავშირებით დემოკრატიული პარტიის სტამბოლის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა პრემიერ-მინისტრ სარაჯოღლუს მიმართა ღია წერილით, რომელშიც მოითხოვს მის გადადგომას. წერილში ლაპარაკია „ბოროტმოქმედებასა და ტერორის აქტებზე, რასაც ადგილი აქვს თურქეთის ბევრ რაიონში“, და აღნიშნულია წინააღმდეგობანი პრემიერ-მინისტრის განცხადებებსა და ხელისუფლების წარმომადგენელთა მოქმედებას შორის.

იაპონიისათვის შექმნილ სამოკავშირეო საბჭოში

ტოკიო, 12 ივლისი. (საქტესი). (მიღებულია დაგვიანებით). იაპონიისათვის შექმნილ სამოკავშირეო საბჭოში სსრ კავშირის წარმომადგენლის ამხ. დერევიანკოს მიერ მუშათა კანონმდებლობის შესახებ წამოყენებული რეკომენდაციის განხილვის დროს საბჭოს თავმჯდომარემ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა ატჩესონმა გაილაშქრა იმ წინადადებათა წინააღმდეგ, რომლებსაც რეკომენდაცია შეიცავს. ატჩესონმა საბჭოთა წარმომადგენლის წინადადებანი „კომუნისტურ პროპაგანდად“ მიიჩნია და მთელი რიგი ანტისაბჭოთა გამოსვლები დაუშვა.

დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა საბჭოში ბოლმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგატის წინადადება „მიმართულია ხალხის სასარგებლოდ“, და აღნიშნა, რომ საბჭოთა წინადადების 22 პუნქტის ხანგრძლივი შესწავლის შემდეგ მან „ვერ ნახა იქ კომუნისტური პროპაგანდის ვერავითარი ნიშანი“. შემდეგ ბოლმა სთქვა: „მეტად სამწუხაროა, რომ ხალხის სასარგებლოდ მიმართულ ასეთ წინადადებას ავტომატურად სთვლიან კომუნისტურ პროპაგანდად“.

ბოლის შემდეგ განცხადებით გამოვიდა ამხ. დერევიანკო. მან აღნიშნა, რომ ამერიკის წარმომადგენელი პირველად როდი „იყენებს იაპონიისათვის შექმნილ სამოკავშირეო საბჭოს თავისი საკუთარი კონცეფციების პროპაგანდისათვის“.

ამერიკის შეერთებული შტატების შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება

ვაშინგტონი, 15 ივლისი. (საქტესი). შინაგან საქმეთა მინისტრმა კრუგმა განაცხადა, რომ სამინისტროში იქმნება წყნარი ოკეანის განყოფილება, რომელსაც ექნება ტერიტორიებისა და კუნძულის მფლობელობათა ქვეგანყოფილებანი. მისი მთავარი მიზანი იქნება მოამზადოს ჰავაის კუნძულების გადაქცევა ამერიკის შეერთებული შტატების შტატად. წყნარი ოკეანის განყოფილება მოამზადებს აგრეთვე წყნარი ოკეანის სხვა კუნძულების მმართველობის გეგმებს.

მღელვარება იტალიის მშრომელთა შორის

რომი, 17 ივლისი. (საქტესი). უკანასკნელ დღეებში გრძელდებოდა მღელვარება იტალიის მშრომელთა მასებში, რომლებიც თავიანთი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოითხოვენ. გრძელდება ნეაპოლის ყველა მელითონის გაფიცვა. მუშები მოითხოვენ ხელფასის გადიდებას. ნეაპოლის ქიმიური მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა ფედერაციამ ერთი საათის გაფიცვა ჩაატარა მელითონეებთან სოლიდარობის ნიშნად.

როგორც გაზეთი „უნიტა“ იუწყება, ნავთის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირმა გამოაცხადა, რომ რადგან მუშებსა და მოსამსახურეებს უარი უთხრეს ხელფასის გადიდების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, მრეწველობის ამ დარგში სრულიად იტალიის გაფიცვა გამოცხადდება. თუ პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირსა და მეწარმეთა შორის ამჟამად მიმდინარე მოლაპარაკებას შეთანხმება არ მოჰყვა, ამ დღეებში მოსალოდნელია სტამბების მუშათა საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება, რაც ყველა გაზეთის გამოშვების შეწყვეტას გამოიწვევს.

მღელვარება არ სწყდება სოფელ ადგილებშიც. უმბრიაში [illegible] მღელვარება. ისინი მოითხოვენ [illegible] თავისი წილის [illegible] მათ [illegible] ნიშნად ნახევარი საათის გაფიცვა გამოაცხადა ტერნის სამრეწველო კომბინატის 15 ათასმა მუშამ.

როგორც ანსას სააგენტო იუწყება, კორატოში გამოცხადებულია საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა იმის წინააღმდეგ, რომ სოფლის მეურნეებმა უარი სთქვეს სამუშაოზე მიიღონ 2 ათასამდე უმუშევარი მოჯამაგირე. 6 ათასმა დემონსტრანტმა დაიკავა ქუჩები და შეჰკრა ქალაქიდან ყველა გასასვლელი.

ანდრიასა და ჩერინოლაში უმუშევართა სტიქიური დემონსტრაციები მოხდა.

მილანში განახლდა გაფიცვა მთელ რიგ ქარხნებში, კერძოდ კაპრონისა და მარელის ქარხნებში. გაზეთ „გლობოს“ ცნობით, შეიძლება მოველოდეთ საყოველთაო გაფიცვას მთელ მილანის სამრეწველო რაიონში.

16 ივლისს ტურინის შრომის პალატის გადაწყვეტილებით საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა.

იულიის კრაინაში სადემარკაციო ხაზის ახლოს მომხდარი ინციდენტის გამო

ბელგრადი, 17 ივლისი. (საქტესი). როგორც ბელგრადის რადიო გადმოგვცემს, გუშინ იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს გადასცა ნოტა იუგოსლავიის სამხედრო მმართველობაში მყოფ იულიის კრაინის „ბ“ ზონის ტერიტორიაზე სადემარკაციო ხაზის ახლოს 12 ივლისს მომხდარი ინციდენტის გამო, რომლის დროსაც ამერიკელთა პატრულთან შეტაკებაში დაიღუპა ორი იუგოსლაველი მესაზღვრე.

ნოტაში, სხვათა შორის, ხაზგასმით აღნიშნულია შემდეგი:

1) შეტაკების მომენტში იუგოსლავიის სასაზღვრო ორგანოები თავიანთ მუდმივ, გარკვეულ ადგილზე იყვნენ;

2) ამერიკელთა პატრულმა პირველმა და მოულოდნელად იხმარა სასროლი იარაღი ნაცვლად იმისა, რომ განმარტება მიეცა იუგოსლავიის სასაზღვრო ორგანოებისათვის. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ იუგოსლავიის მხარეზე დაიღუპა ორი ჯარისკაცი, მაშინ როცა ამერიკის მხარეზე არავის არაფერი მოსვლია;

3) უფრო დიდი ინციდენტები თავიდან აცილებულია იუგოსლაველ ჯარისკაცთა დისციპლინიანობისა და იუგოსლაველ ადგილობრივ ხელმძღვანელთა ზუსტი ბრძანების მეოხებით;

4) ის ფაქტი, რომ ამერიკელთა ერთმა ტყვიამფრქვევმა მაშინვე აუტეხა სროლა იუგოსლაველთა საგუშაგოს, გვაფიქრებინებს, რომ მთელი ეს ამბავი წინასწარ იყო მომზადებული.

იღებს რა მხედველობაში ამ ფაქტებს, ნათქვამია ნოტაში, იუგოსლავიის ფედერატიული სახალხო რესპუბლიკის მთავრობა პროტესტს უცხადებს ამერიკის მთავრობას ადგილობრივ ამერიკელ ხელისუფალთა ქცევის წინააღმდეგ, რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალსა და მოკავშირე არმიების შორის თავაზიან ურთიერთობას.

თემთა პალატაში შეკითხვა შეიტანეს სამხრეთ-აფრიკის ინდიელთა მიმართ დისკრიმინაციის თემაზე

ლონდონი, 16 ივლისი. (საქტესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 15 ივლისს ლეიბორისტმა პრიტმა ინგლისის თემთა პალატაში აღძრა საკითხი, იმაზე, რომ სამხრეთ-აფრიკის კავშირში მცხოვრები ინდიელები პროტესტს აცხადებენ მათ მიერ მიწის ყიდვის შეზღუდვის წინააღმდეგ.

პრიტმა ინგლისის ინდოეთისა და ბირმის საქმეთა მინისტრის მოადგილეს არტურ ჰენდერსონს ჰკითხა: იცით თუ არა, რომ ამას წინათ ერთ პიროვნებას სამი თვის საკატორღო მუშაობა მიუსაჯეს სამხრეთ აფრიკის ქალაქ დურბანში იმისათვის, რომ მან მშვიდობიანი პროტესტი გამოსთქვა, რადგან დურბანში ინდიელებს უკრძალავენ მიწის სარგებლობას, და ხომ არ იზრუნებთ, რომ ინდოეთის უმაღლესმა კომისარმა მიმართოს სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობას, რათა აღარ მოხდეს ასეთი ინციდენტები.

ჰენდერსონმა უპასუხა ამის ოფიციალური დადასტურება არა მაქვსო.

მაშინ პრიტმა ჰკითხა, ხომ არაფერს იღონებთ, რომ ინდოეთის მთავრობა დაარწმუნოთ ერთგვარი ინტერესი გამოიჩინოს ამ საკითხისადმი. ჰენდერსონმა უპასუხა: „მე მგონია, რომ პრიტი რამდენადმე უსამართლობას იჩენს ინდოეთის მთავრობისადმი. ინდოეთის მთავრობამ თავისი უმაღლესი კომისარი გამოიწვია და სავაჭრო ურთიერთობა შესწყვიტა ინდოეთსა და სამხრეთ აფრიკას შორის. მე ვფიქრობ, ეს საკმაოდ მოწმობს იმ ინტერესს, რასაც ინდოეთის მთავრობა იჩენს ამ საკითხისადმი“.

გერმანიის ოკუპაციის ინგლისურ ზონაში აღმოაჩინეს ჰიტლერელი გაულაიტერი ფორსტერი

ვარშავა, 17 ივლისი. (საქტესი). როგორც პრესის სოციალისტური სააგენტო იუწყება, გერმანიის ოკუპაციის ინგლისურ ზონაში აღმოაჩინეს გდანსკის ყოფილი ჰიტლერელი გაულაიტერი ფორსტერი, რომელიც სს-ელთა ერთ-ერთ ბანაკში იმალებოდა. იგი გამოიცნო გერმანელების დანაშაულობათა გამომკვლევმა პოლონეთის სამხედრო მისიამ.

პოლონური პრესის სააგენტო იუწყება, რომ პოლონეთის სამხედრო მისიამ გამოარკვია მაიდანეკის ყოფილი კომენდანტის — ჰიტლერელ ტუმანისა და პოლონეთში ჩადენილი ბოროტმოქმედებით ცნობილ მთელ რიგ სხვა დიდ დამნაშავეთა ადგილსამყოფელი.

ჩერჩილს უარი უთხრეს ნორვეგიაში მიწვევაზე

ოსლო, 16 ივლისი. (საქტესი). გაზეთმა „არბეიდერბლადეტმა“ ოფიციალური წყაროების დამოწმებით გამოაქვეყნა ცნობა იმ მიზეზების შესახებ, რომელთა გამო არ შესდგა ჩერჩილის განზრახული ვიზიტი ნორვეგიაში. მიმდინარე წლის დამდეგს ნორვეგიის მეფე ჰოკონმა ჩერჩილს მიპატიჟება გაუგზავნა — სწვეოდა ნორვეგიას მაისის პირველ რიცხვებში. მაგრამ შემდეგ მოხდა ჩერჩილის გამოსვლა ფულტონში. ამასთან დაკავშირებით მეფე ჰოკონმა საგარეო საქმეთა მინისტრთან თათბირის შემდეგ მისწერა ჩერჩილს პირადი წერილი, რომელშიც სურვილი გამოსთქვა, რომ ჩერჩილმა „ერთხანს გადასდოს თავისი ჩამოსვლა“.

ფაშისტური სამხედრო ორგანიზაციის წევრთა მომავალი პროცესი ბულგარეთში

სოფია, 15 ივლისი. (საქტესი). სოფიის სახალხო სასამართლომ 5 აგვისტოსათვის დანიშნა ფაშისტური სამხედრო ორგანიზაციის „მეფე კრუმის“ წევრთა საქმის მოსმენა. ორგანიზაციის ხელმძღვანელი პოდპოლკოვნიკი ანტონ კრისტევი და მისი თანამონაწილენი მიზნად ისახავდნენ დაემხოთ სამამულო ფრონტის მთავრობა. შეთქმულები აქეზებდნენ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შეიარაღებული ბრძოლა დაეწყოთ მთავრობასთან და საბოტაჟი გაეწიათ მთავრობის ღონისძიებათათვის. კვლევა-ძიებით გამოირკვა, რომ ორგანიზაცია „მეფე კრუმს“ კავშირი ჰქონდა ბულგარეთის ოპოზიციის ლიდერ ნიკოლა პეტკოვთან.

ბულგარეთში შეიქმნა „ესპანელი ხალხისა და დემოკრატიის დაცვის კომიტეტი“

სოფია, 15 ივლისი. (საქტესი). მუშათა საყოველთაო პროფესიული კავშირის ინიციატივით სოფიაში შესდგა ბულგარეთის მასობრივი კულტურულ-პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციამ მოისმინა მოხსენება ფრანკისტულ ესპანეთში არსებული მდგომარეობის შესახებ და აირჩია „ესპანელი ხალხისა და დემოკრატიის დაცვის კომიტეტი“. კომიტეტის საპატიო თავმჯდომარედ არჩეულია გიორგი დიმიტროვი, თავმჯდომარედ — რაიკო დამიანოვი. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წინადადების საფუძველზე 18 ივლისიდან 15 აგვისტომდე ჩატარდეს საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები ფრანკოს რეჟიმის წინააღმდეგ, ესპანელი ხალხის დასაცავად.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

19 ივლისს, საღამოს 8 საათზე, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაკებისათვის შესდგება ამხ. ქურდიანის ლექცია თემაზე: „ქალაქ თბილისის არქიტექტურული დაგეგმვის საკითხები მეოთხე ხუთწლედში“.

ლექცია

19 ივლისს, საღამოს 8 საათზე მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სალექციო დარბაზში (რუსთაველის პრ. № 33/35) საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებული ლ. კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტი აწყობს მწერალ ი. მ. კოროლკოვის ლექციას თემაზე: „ნიურნბერგის პროცესზე“ (პირადი შთაბეჭდილებანი).

ბილეთების შეძენა შეიძლება საქალაქო პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში და რაიკომების პარტკაბინეტებში.

თეატრებში

19 ივლისს: გრიბოედოვის სახელობის — „რატომ სდუმდა“. ახუნდოვის სახელობის — „არშინ მალ-ალან“. ფილარმონიის საზაფხულო თეატრი — „ფადიშაჰის ქალიშვილი“.

რკინიგზის ტრანსპორტის ბათუმის ტექნიკუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1946-47 სასწავლო წლისათვის პირველ კურსზე (ქართულ და რუსულ სექტორებზე).

ტექნიკუმში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი ორივე სქესისა 14-30 წლის ასაკამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ 7-8 კლასი.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ისინი, ვისაც 1945 წელს დამთავრებული აქვთ 7 კლასი ნიშნით „5“ ყველა ძირითად საგანში, სხვები კი აბარებენ გამოცდებს 7 კლასის პროგრამის ფარგლებში: 1) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერითი და ზეპირი), 2) რუსულ ენაში (წერითი და ზეპირი), 3) მათემატიკაში: არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია (წერითი და ზეპირი), 4) სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

განცხადების მიღება იწარმოებს ყოველდღიურად 20 აგვისტომდე. გამოცდები იწარმოებს 21-დან 25 აგვისტომდე. მოსწავლეთა ჩარიცხვა. მოხდება 26 აგვისტოდან 31 აგვისტომდე.

ტექნიკუმში ჩარიცხულები იღებენ სტიპენდიას და თავისუფლდებიან წითელ არმიაში გაწვევისაგან, სარგებლობენ რკინიგზელთა ყველა უფლებით და უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

ტექნიკუმში შესვლის მსურველებმა (პირადად ან ფოსტით) უნდა წარმოადგინონ: 1) განცხადება (ტექნიკუმის უფროსის სახელზე), 2) განათლების მოწმობა (დედანი), 3) დაბადების მოწმობა (დედანი), 4) ავტობიოგრაფია და 3 ცალი ფოტოსურათი, დამოწმებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, 5) ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ (სამხედრო ვალდებულებმა).

იმ მოსწავლეებისა და წარმოებაში მომუშავე ახალგაზრდებისათვის, რომლებსაც დამთავრებული აქვთ 7-8 კლასი, ტექნიკუმთან და სამტრედიის რკინიგზის ტექნიკურ სკოლასთან ა. წ. პირველი ივნისიდან გახსნილია ტექნიკუმში შემსვლელთა მოსამზადებელი კურსები. დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება ტექნიკუმში. მისამართი: ქ. ბათუმი, 9 მარტის ქ. № 10. ტექნიკუმის უფროსი წევის ინჟინერ-მაიორი **გიორგაძე**

მოქალაქე **გრიგოლ ივანეს-ძე კუშუკამა**, მცხოვრებმა სოხუმის ქ. № 3, აღძრა საქმე ქ. ბაქოში, სამხედრო ქალაქში მცხოვრებ მოქალაქე **ელენე ივანეს-ასულ ნოსირევასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

სანდრო და ვერა სიმონგულოვები შვილებით და შვილიშვილებით იუწყებიან რძლის **ოლია კაჭკაჭოვა-სიმონგულოვას** გარდაცვალებას.

დოროთე და ანიკო გადელიები იუწყებიან შვილის პატარა ალბერტის გარდაცვალებას. პანაშვიდი 19/VII, 8 ს. გამოსვენება 20/VII, 6 ს. ქუთათელაძის, 23.

ხუსეინ ჩხეიძე ოჯახით იუწყება მამიდაშვილის ინჟინერ **აბდულ ყიზეთის-ძე ნაკაშიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფელ კახაბერში (ბათუმის რაიონი).

ოჯახი იუწყება **დისა გიორგის-ასულ ხაბუტაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20/VII, ს. მეჯვრისხევში.

ძმები ქუჩუკ, ვალერიან, კოლია, სერგო და გიორგი ახვლედიანები ოჯახებით იუწყებიან სტომატოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტის **მარიკა ნემსაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა. ქ. ქუთაისში 21/VII.

თამარ ხელაშვილი ოჯახით იუწყება დედის **ანა ივანეს-ასულ ხელაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20/VII, 8 ს. გამოსვენება 21/VII, 5 ს. მოსკოვის, 7.

ოჯახი იუწყება **ბაბილინე ბარონის-ასულ იაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20/VII, სოფელ არგვეთში (საჩხერის რაიონი).

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 00180